

# მწიგნობარი



მწიგნობარ კათოლიკოს სული  
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის  
იოან. 10—11.

№ 7—8

1883—1908 წ.

30 აპრილი



## ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა, სულთქმა-ოხვრით  
ეკლის გზაზე დაღალულთ,  
მრავალ-ხნობით სოფლის ჯვარზე  
განროხმულთ და განბრძარულთ!

ქრისტე აღსდგა, ოფლის ღვარში  
ჩანთქმულთ და დაფარულთ,  
უგზო-უკვლოდ წუთი-სოფლად  
ეკალ-ნარზე მოარულთ!

ქრისტე აღსდგა, მომყმარ სულთ  
სიმაართლისკენ მტოლვარეთ,  
განსვენების მეძებარო,  
მისთვის მტირალ-მგლოვარეთ!

ღღეს სიცოცხლის უხვი წყარო  
გამობრწყინდა, მკვდრეთით აღსდგა,  
და განხრწნილი ცხოვრების გზა  
გაბრწყინდა და განგვიახლდა!

ღღეს სიკვდილის დათრგუნვა  
და სიცოცხლის გამეფება,

განრღვეულის კაცთ ბუნების  
აღდგენა და კვლად გება!

ქრისტე აღსდგა! ტვირთ მიძიმეთ  
დაეწათე მალლის ნათელს,  
სიკეთისკენ წინსასვლელად  
უკვდავ ძალის აღმომადენს!

მკვდარ ბუნებაე, გაიფურჩქნე!

გაზაფხული ისევ დასდგა,  
მზე სიმაართლის სხივ მფანარე  
ამოშუქდა, მკვდრეთით აღსდგა!

ცხოველ მყოფელ ნათელ-შუქით  
კვლავ მოფინა დედამიწა  
და სიცოცხლის გამარჯვება  
თვის აღდგომით დაამტკიცა.

ანთფრე შწიჩი.



## აღდგომა ქრისტესი.

„აღსდგინ ღმერთი და განიბ-  
ნინენ ჟოველნი მტერნი მისნი“!

აღდგომა ქრისტესი არის უმთავრესი ფაქტი  
სახარების ისტორიაში. ქრისტეს მკვდრეთით აღ-  
დგომაზე დამყარებულია ჩვენი რწმენა მისი ღვთაე-  
ბისა; ქრისტე, რომ მკვდრეთით არ აღდგომილიყო,  
მაშინ ის აღარ იქნებოდა ღმერთი, ძე ღვთისა,  
გამომხსნელი კაცთა ნათესავისა; მაშინ მას ჩასთვ-  
ლიდნენ მხოლოდ უებრო, გამოჩენილ გენიოსად,  
დიდ რეფორმატორად, კაცობრიობის მეგობრად,  
„როგორც ეხლა ამბობენ; ქრისტეს მკვდრეთით  
აღდგომაზე დამყარებულია მთელი სწავლა-მოძღვ-  
რება და ქადაგება ქრისტიანობისა. ამიტომ წმ.

ქ. მარქსის სხ. საქ.



პავლე მოციქული ამბობს: უკეთუ ქრისტე არა აღდგომილას, ცუდად საქმე არს ქადაგება ესე ჩვენი და ცუდად არს საწმუნება ესე თქვენი (სკორ. 15,14).

ქრისტეს და მისი მოძღვრების წინამდებარე კარგად გრძნობენ მისი მკვდრებით აღდგომის დიდს მნიშვნელობას უმთავრესი მათგანი შტრაუსი ამბობს: „ჩვენ რომ როგორმე მოვახერხოთ და უარ ვყოთ ისტორიული ნიჰილიზის სახარების ყველა სასწაულებისა და დაუტყვოთ იგი მხოლოდ ამ შემთხვევას (ქრისტეს მკვდრებით აღდგომას) მაშინაც სრულიად არაფერი არ იქნება გაკეთებული მეცნიერებისთვის, რადგანაც აღდგომა იესოსი არის შუა წერტილის შუა წერტილი, საკუთარი გული აწინდელი ქრისტიანობისა.“

ამის გამოა, რომ თვით აღდგომის დღიდან დაწყებული, ვიდრე აქომამდე გაისმის უარყოფა მაცხოვრის მკვდრებით აღდგომის სინამდვილისა, ბევრი უცნაური თეორია იქმნა შეთხზულ-გამოგონილი მოწინააღმდეგეთაგან ქრისტეს მკვდრებით აღდგომის სინამდვილის დასარღვევად, მაგრამ ამაოდ!

სულ პირველად მაცხოვრის მოსისხლე მტრებმა, ურიათა მღვდელთ-მთავრებმა შეთხზეს ჭკბი იესოს გვამის მოხარყაზე მის მოწაფეთაგან. — როდესაც იესოს საფლავის მკვლელებმა მისი მკვდრით აღდგომის ამბავი აუწყეს ურიათა მოხუცებულებს და მღვდელთ-მთავრებს, ისინი შეიკრიბნენ და ზრანჯა ჭეუქს, მისცეს ვერცხლი დიდძალი მკვლელებს და რქვეს: ესე სთქვით, ვითარმედ მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წაიხარეს იგი, ვიდრე ჩვენ გვეძინა; თანაც დაჰპირდნენ, თუ მთავარმა (პილატემ) გაიგო, რომ თქვენ, მკვლელებმა ვერ გამოიჩინეთ საჭირო სიფრთხილე და მღვიძარება, გეძინათ მაშინ, როცა უნდა გლვიძებოდათ და ამისთვის დასჯა მოგინდომათ, ჩვენ ვაწმუნებთ და თქვენ უზრუნველ გვენათ. მკვლელებმაც მიიღეს ფული და თანახმად მოხუცებულთა დარიგებისა გააფრცვლეს ქორი, რომ მოციქულებმა ღამე მოიბარეს გვამი იესოსი და ტყუილი ხმა დაყარეს მკვდრებით აღდგომა (მათ. 28,11—15).

ეს ძველი ურიული ქორი გაიმეორა ზოგიერთმა ევროპიელმა მეცნიერმაც; მაგრამ ამ „თეორიის“ სიცრუვე ისე ცხადია, რომ ეხლანდელს დროში მას აღარავინ აღარ იხსენებს და თუ ჩვენ მოვიყვანეთ აქ და ვარჩევთ მას მხოლოდ მიტომ,

რომ ჩვენში ვიდრე დღეინდლად დღემდე (მათ. 28,15) არიან ბევრი „განათლებულნი“, რომლების ბაზარზედაც ფრიად დიდი გასაყალი საქმე ამ ვითომც და მეცნიერულს თეორიას, წამდვილად-კი ქორს.

თვით მკვლელები ამბობენ ხალხში, რომ მათ ეძინათ მაშინ, როცა უნდა გლვიძებოდათ და მოციქულებს შეძლება მისცეს მაცხოვრის გვამის მოპარვისა; ამ რიგად, მათ ჩაიდინეს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის ღირსნი იყვნენ და სასტიკი სასჯელისაც, მაგრამ მათ არამც თუ არა სჯიან, პირიქით, აძლევენ გვეცხლს დიდძალს! რისთვისაა ასეთი წყალობა? მაშინ, როგორც ეხლაც, სასტიკად სჯიდნენ მკვლელებს დაუდევრობისა და მცონარებისათვის, მაგალითად იროდმა სიკვდილით დასაჯა მკვლელები იმ საპყრობილისა, რომლიდანაც სასწაულებრივ განთავისუფლებულ იქმნა პეტრე მოციქული (საქმეო. 12,19); აქ კი არამც თუ არა სჯიან დაუდევარ მკვლელებს, ფულსაც აძლევენ და შემწეობასაც ჰპირდებიან მთავართა, თუ ვინიცობაა მან მოინდომა მათი დასჯა. საუცხოვოა!

მოციქულებს რომ მოეპარნათ იესოს გვამი, მისი მტრები, სინედრიონის წევრები, უეჭველად. ისარგებლებდნენ ამითი; ისინი სასტიკად გამოიძიებდნენ ამ ამბავს, დაუმტკიცებდნენ მოციქულებს ქურდობას და მატყუარობას, დასჯიდნენ მათ სიკვდილით, როგორც ხალხის ამღვლელებს და საბოლოოდ აიცილებდნენ თავიდან არა სასიამოვნო მოვლენას—ხალი სჯულის ქადაგებას; მაგრამ სინედრიონი ასე არ მოქცეულა; არაფერი კვლევადიება ქრისტეს გვამის მოპარვის შესახებ მას არ მოუხდენია. გარდა ამისა, ქრისტეს მკვდრებით აღდგომის შემდეგ, მოციქულებმა იწყეს ქადაგება და მრავალნი ურიათაგანნი მოაქციეს. სინედრიონმა, როგორც მკვლელმა ურიათა სჯულისამ, მოიხმო მოციქულები და აღუკრძალა მათ ქადაგება მაცხოვრის მკვდრებით აღდგომაზე, მაგრამ ქრისტეს გვამის მოპარვაში კი არ უმხილებიათ იგინი (საქმეო. 4,18), თუმცა სწორედ ძალიან მარჯვე და კაი დრო კი იყო ემხილებინათ მოციქულები ქურდობაში. რა არის მიზეზი მღვდელთმთავრების ასეთი ქცევისა? უეჭველია ის, რომ თვითონ მათ შეთხზეს ზღაპარი ქრისტეს გვამის მოპარვის შესახებ და ამისი გამოძიება გამოამჟღავნებდა მათს



ფლიდობას და გაიძვერაობას; ამიტომ მათ ისევ გაჩუმება არჩიეს.

მაგრამ მაინც ვიკითხოთ შეეძლოთ თუ არა მოციქულებს იესოს გვამის მოპარვა? მათ, უეჭველია, ძლიერ უყვარდათ იესო. მათი ფიქრით იესო დაარსებდა სამეფოს, რომელიც მათ პირველი და საპატიო ადგილები უნდა სჭეროდათ. მაგრამ აი იმათ ნახეს, რომ ის, რომელიც მათ უკვდავად მიაჩნდათ, მოკვდა და დაიფლა ვითარცა კაცი; ამიტომ მათ ეჭვი უნდა შეპაროდათ იესოს მესიურს ღირსებაზე, ხოლო, თუ მათ მართლა შეეპარათ ამაზე ეჭვი, მაშინ რაღა საჭირო იყო მათთვის იმისი სხეული, რომელიც არა ყოფილა მესია, რომელმაც იგინი დაატყუა? მოციქულებმა უკანასკნელი ჩვეულებრივი პატივიც კი არა სცეს იესოს გვამს, როგორც მენელსაცხებლედ დედებმა. ამ გვარს სულიერს მდგომარეობაში სულ უაზრო, უსარგებლო და უმიზნო იყო მოციქულთათვის იესოს გვამის მოპარვა; ეს მოპარვა სახიფათოც იყო;—საფლავიდან ლოდის გადაგორება, იქიდან გამოტანა გვამისა ისე, რომ მცველებს არ შეეტყუათ, შეუძლებელია! ხოლო, თუ მოციქულებს სწამდათ იესოს მკვდრებით აღდგომა, მაშინ სულ აღარ იყო საჭირო იესოს გვამის მოპარვა. ერთი სიტყვით, ასე იყო, თუ ისე, სწამდათ თუ არა სწამდათ მოციქულებს იესოს მესიური ღირსება, ორივე შემთხვევაში უაზრო იყო მისი გვამის მოპარვა.

თუ ყურადღებას მივაქცევთ მოციქულების ზნეობას, მათს მოქმედებას და მიმართულებას უფრო ცხადად დავრწმუნდებით, რომ ისინი არ მოიპარავდნენ იესოს გვამს და არც გაავრცელებდნენ ტყუილს ხმებს მის მკვდრებით აღდგომაზე. ჩვენ ვიცით, რომ ქრისტეს აღდგომის შემდეგ მოციქულებმა დაიწყეს ქადაგება მკვდრებით აღდგომილისა დიდი გაბედულობით, აღფრთოვანებულად, აღტაცებით და შეუდრეკელად; მათ არ უღალატნიათ მკვდრებით აღდგომილისთვის არას დროს, არც მაშინ, როცა სატანჯველზე მიდიოდნენ. რითი აიხსნება ეს გაბედულობა მოციქულებისა? რისგან არის რომ იესოს სიკვდილით დაღონებულ დაძაბუნებული უიმედოთ დარჩენილი მოციქულები ერთბაშათ მოიცვა შეუდრეკელმა გამბედაობამ, სიმხნევამ და ახოვნებამ? მათ მიერვე მოგონილი ჰორი ვენ შეასხამდა მათ ფრთებს და მოპარული

უსულო გვამი სულაც არ მისცემდა იმდენ გამბედაობას და ახოვნებას, რომ უშიშრად, სისხლის დანთხვეამდე ექადაგნათ მკვდრებით აღდგომილი. ამიტომ უფრო ფრთხილი კრიტიკოსები გვეთანხმებიან, რომ იესოს დამარხვის და პასექის მეორგასე დღესასწაულის შუა უთუოდ უნდა მომხდარიყო ისეთი რამე ამბავი, რომელიც უეჭველად დაარწმუნებდა მოციქულებს იესოს გაცოცხლებაში.

განვიხილოთ ეხლა მეორე, ვითომც და უფრო დასაბუთებული თეორია მაცხოვრის მკვდრებით აღდგომის უარყოფელთა. თანახმად ამ თეორიისა, იესო სრულიადაც არ მომკვდარა ჯვარზე; ბევრი და მძიმე ტანჯვისაგან მან მხოლოდ გრძნობა დაკარგა. ხოლო სამი დღის მოსვენების შემდეგ, საფლავის ჰაერის და სხვა და სხვა კეთილსუნნელოვან ნელსაცხებელთა გავლენის გამო, იგი ისევ მოვიდა გრძნობაზე, გამოვიდა საფლავიდან და გამოეცხადა მოციქულებს, როგორც მკვდრებით აღდგომილი. ბევრს რამეს გამოიგონებს უარყოფის სურვილით გატაცებული გონება კაცისა! იესოს ჯვარზე ნამდვილი სიკვდილის მოწმები არიან სხვა და სხვა წოდების, მიმართულების, მდგომარეობის პირები. გარდა იოანე მოციქულისა, მაცხოვრის დედისა და სხვა დედათა იესოს ჯვართან იღვწენ და იხილეს მისი ნამდვილი სიკვდილი მღვდელთ-მთავრებმა, ასისტავმა, მწიგნობართა, ფარისეველთა და მთლად იერუსალიმის მცხოვრებლებმა. ასისტავმა მაცხოვარს განუგმირა ლახვრით გვერდი, რომლიდანაც წარმოსდინდა სისხლი და წყალი; რომ ფიზიოლოგიურად შეუძლებელი იყოს მიცვალებულის გვამიდან რაიმე სითხის წარმოდინება, მაშინ ხომ ყურთასმენა აღარ იქნებოდა მეცნიერ-კრიტიკანთა ყაყანისგან, ისინი სდუმან ამის შესახებ. მაცხოვრის სიკვდილს ჯვარზედ ამოწმებენ იოსებ ფლაბი, ურიათა მესტორიე და სხვანი მრავალნი ისტორიკოსნი, რომლებიც სულაც არ არიან და არც ყოფილან ქრისტეს ქომაგნი. სრულიად წარმოუდგენელია, რომ იმ სასტიკ ზნეობრივ და ხორციელ ტანჯვათა შემდეგ, რომელიც დაითმინა მაცხოვარმა, დამარხულს შეეძლოს ბუნებრივი გზით ძალღონის მოკრება საფლავში და მესამე დღეს სიარული; ჰკითხეთ, რომელსაც გნებავსთ დოსტაქარს, შესაძლებელია რომ ლურსმებით ფხვებ დახვრტილმა იაროს თუ გინდ სამი დღის უფრო მეტი



ხნის შემდეგ? ეს თეორია ცრუ და ყალბია. ბევრს კრიტიკოსთაგანს სიცილადაც არა ჰყოფნის იგი. თვით უმთავრესმა კრიტიკოსთაგანმა შტრაუსმა საბოლოოდ ანდერძი აუგო ამ თეორიას შემდეგი, ჩვენთვის ძვირფასი, სიტყვებით: „იესო საფლავიდან ამოსული, ნახევრად მკვდარი, ავადმყოფი, რომელსაც ესაჭიროება შევლა ექიმისა, წყლულთა შეხვევა, მოვლა-ყურის გდება, დაუძღვრებული ტანჯვათაგან, ვერ მოახდენდა მოციქულებზე სიკვდილის მძლეველის, ცხოვრების მეუფის შთაბეჭდილებას, რაც იყო საფუძველი მათი შემდეგი მოქმედებისა. ამ გვარი გაცოცხლება სრულიად წარბოცდა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა იესომ მოციქულებზე სიკოცხლეში და სიკვდილის ჟამს, გამოიწვევდა მათში მწუხარებას, მაგრამ ვერა გზით ვერ გარდაქცევდა მათს მკმუნდარებას აღფრთოვანებად და მათს მისდამი პატივის ცემას ვერ აღამალლებდა გაღმერთებამდე.“

მასწავლებელი.

(გაგრძელება იქნება)

**სიტყვა,**

**თქმული ქვაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 23 მაისს 1908 წ. თ. გრიგოლ ორბელიანის განცხადებებიდან 25 წლის შესწულების გამო განდახდის ზანაშვილის წინ.**


უკეთუ ძირი იგი წმინდა არს, — რტონიკა მისნი (რომ. 11, 17)

იტყვის წმიდა მოციქული პავლე დაამ სიტყვათა ქეშმარიტებას ცხადათ აჩვენებს ცხოვრება და პირადობა ჩვენის სასიქადულო მგოსნის გრიგოლ ორბელიანისა, ვინაიდან ის სულის სიმტკიცე, გრძნობათა სინაზე, მსოფლ-მხედველობის სივრცე, ჩვეულების სიფაქიზე, მოქმედების სიქველე, მისწრაფების სიცხოვლე, ღონითა შეება, ჭირთა დათმენა და ფერად-ფერადთა სათნობათა სიუხვე და თვით სიბერე სიკვდილამდე შენარჩუნება—ნაყოფი იყო იმ საღის სარწმუნოებრივის გრძნობისა, რომელიც შთაენერგა მის გულში მშობელს დედას, სულ-მნათს ხორეშანს, რომელიც „როცა პატარა გრიგოლს ეძინა, მის თავზედ ლოცულობდა და წმიდა აიაზმას ასხურებდა ძმინარეს“...

„ქეშმარიტად თაყვანისმცემელი ღვთისა არა იქადის ბედნიერებასა თვისსა, ამბობს მგოსანი, და არა კარგავს სასოებასა, როდესაც მსწრაფლ-წარმავალის ცხოვრების გზაზედ უბედურება რამ შემთხვევა. ამ ცრუ ქვეყანაში ყოველივე წარმავალი და მომაკვდავია, დაშთებიან მხოლოდ კეთილნი საქმენი, რომლებითაც მოსავეი ღვთისა უნდა წარუდგეს ბოლოს ყოვლად-შემძლვებელისა სამართალსა. და ვაი იმას, ვინც ყოველივე ესე უწყოდა და არ შეასრულა! ხოლო დიდება უკვდავებისა მას, ვინც მტკიცედ და შეურყვევლად ადგა ხსნის გზასა“. ცხადია, რომ ამ გვარად მპაზროვნებელი მგოსანი აროდეს გადაუხვევდა ღვთის მიერ ნაჩვენებს ცხოვრების გზასა და მთელს თავისს ძაღლონეს მოახმარებდა მოძმეთათვის შრომასა და მეცადინეობასა, და აკი ამისთვის იყო, როცა მგოსანმა მიიღო ისეთი დიდი ადგილი, რომელიც ნაკლებს შრომას და ზრუნვას მოითხოვდა მისგან, — ჩიოდა: „თანამდებობა ჩემი არის მშვიდობიანი, უშფოთველი, უზრუნველი, სავსე ამაოების ცხოვრებითა, რომელსაც ვერ შევჩვევივარ აქამომდის და იქნება ვერც სიკვდილამდის შევეჩვიო“-ო. იმ შემთხვევაში კი, როცა შრომა არ დაუფვირგინებოდა შესაფერისად, გულს არ იტებდა და კვალად განაგრძობდა მუშაობას: „მაქვს სასოება და იმედი ღვთისა მიმართ, სწერს იგი თავის დღიურში, მფარველობა მისი ცხადად ვიგრძენ რადენჯერმე, და ამისათვის არ ვწუხვარ, გინა სადა გადმაგდოს მე ბოროტმან მხვედრმან ჩემმან“. დიდება მალათა შინა ღმერთსა, რომლისა ნებითა ბრუნავს სოფელი ესე, და ყოველი მის წინაშე მსოფლიო მიდის დანიშნულ მისგანვე გზაზე“—სწერს იგი რუსეთის ჯარის ოსმალოზედ გამარჯვების შემდეგ.

უფრო ცხადათ და მკაფიოდ ეს ღვთისა მიმართ სასოება მგოსნისა გამოჩნდა მაშინ, როცა შამილმა დაატყვევა მისი ახლო-ნათესავები. ეს ნათესავთა ტყვედ წასხმა მან ჩასთავალა ღვთისა მიერ მოვლენილ სასჯელად, და თუმცა ყოველივე ზომა მიიღო მათ განსათავისუფლებლად, მაგრამ დატყვევებულთა ბედ-იღბალი მაინც უფალზე მიანდო. „სასჯელი ესე ღვთისაგან მომერგო, სწერდა იგი შამილს, და მეც არა ვდრტვინავ, მისს წმიდა ნებას ვემორჩილები“.. და უფალმაც არ დაავლო სასოება მისი!..





გამოსცადა რა მგოსანმა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საღს სარწმუნოებრივ გრძნობას მის ცხოვრებაში,— მან მოინდომა ამ გრძნობის განვრცომა-განვითარება მოზარდ თაობის გულშიაც. „მე მინდა, სწერს იგი თავის რძალს, რომ შენი ვაჟის ნორჩი გული სარწმუნოებით იყოს განმსჭვალული, რომლისა გარეშე კაცი ამ ქვეყანაზედ უბედურია. მსურს, რომ ჩემი ძმის-წული მართლმადიდებელი და ევროპის მეცნიერებით განათლებული, საფრანგეთის ახალ ფილოსოფიის ბიწიერების იდეებით წაურყვნელი ქართველი იყოს“... სჩანს, პოეტის აზრით, ქართველობა, ევროპის მეცნიერებით განათლება და მართლმადიდებელი სარწმუნოება—განუყრელი უნდა იყვეს ურთიერთთან, და როცა ამას ვერ ხედავდა იგი სამოციან წლებში სამოღვაწეოდ ახლად გამოსულთა შორის, —იერემიასაებრ ჰგოდებდა და აღშფოთებით სწერდა.

(რომ ახალ მოღვაწეთა მეოხებით)

„ყრმანი საწყალნი,

უბიწო გულნი,

სწავლა მისულნი, წახდნენ ზნეობით!..

უსასოება,

ურწმუნოება,

უმანკო გულში ღრმად ჩაუნერგეს;

„ლოცვა რად გვინდა?

„ღმერთი რად გვინდა?

„ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი“!..

და დაიწყველა

თქვენი აქ მოსვლა,

(ეუბნება მგოსანი უარყოფითი ფილოსოფიის მიმდევართ მოღვაწეთ,)

და თქვენი სიბრძნის ნაყოფი შხამი!..

ღმერთი არ არის?...

შენთვის ნუ არის!

შენ რა გაწუხებს, რომ სუფევს სხვისთვის?“..

(ამის გამო პოეტი თვისი ტკბილის ლექსებით ხშირად განმარტებს ქრისტიანულის სარწმუნოების მნიშვნელობას და გვეუბნება, რომ ჰეშმარიტი სარწმუნოება 1) აღაფრთოვანებს ადამიანის გონებას:)

„ღმერთო, ვინ მიჰსწვდეს შენგან ქმნილს,

მის ფერ უთვალავს შევენებას?

სიბნელეს აქრობ ნათელით,

სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!„..

(2. უჩვენებს ადამიანს გზას ცხოვრებისას და აღძ-

რავს მას ქმნად კეთილისა და დევნად ბოროტისა:)

„რა არის ჩვენი სიცოცხლე,

თუ არა საქმე კეთილი?

თუ არ აღვადგენთ დაცემულს,

არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?

თუ არა ვსდევნით ბოროტსა,

„მართლის არა ვართ მფარველი?

სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს,

სხვისა არ გვესმის ტკივილი?!

ამ აზრის გულსა დანერგვით,

ვსდევნიდეთ სულ მოკლეობას!

ვსდევნიდეთ ძალას და მჩაგვრელს

და მისსა უსამართლობას;

ვსდევნიდეთ კაცის წამბილწველს,

უწმინდურს ანგაარებას:

ვსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის

კაცისა სულის მაღლობას;“..

(3. მიანიჭებს შვებას ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ, განასპეტაკებს მათ სულსა და გულს, და უღვიძებს მათ ადამიანურს გრძნობას:)

(სახარების) სიტყვები ზოგჯერ თუმცა არ მესმის,

ამბობს გრიგოლის „მუშა ბოგულაძე“,

მაგრამ გულს კი უხარია მის სმენა!

სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ-ცემისა,

ზეციურის მაღლით განათებული

გულში ჰქრება დღევა სიბოროტისა...

ვჭკრძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა ვიგონებ...

მაგონდება დღენი ყმაწვილობისა,

ხმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი...

თვალწინ ვჭხედავ დიდხანს დავიწყებულთა

და აღარ ვსწყევ ჩემს შობის დღეს, ჩემს დღესა!..

მაშინ შრომაც დიდად მიადვილდება,

და მას ღამეს მძინავს ისე მშვიდობით,

თითქოს ჩემს ქოხს დაჰფრინვენ ანგელოზნი

ამას გვასწავლიდა, ამას გვიქადაგებდა ჩვენი

საყვარელი მგოსანი, მაგრამ საზოგადოებამ იმას

სულ სხვაგვარი მასწავლებლობა მიაწერა; ჩვენში

მიღებულთა ის ჰაზრი, რომ გ. ორბელიანი მქადა-

გებელია შვება-ლხენის კულტისა. მაღმერთებელია

წუთიერის სიამოვნებისა... ნუ თუ ეს მართალია?!

მართალი აქ არის ის, რომ გ. ორბელიანი წუ-

თიერს სიამოვნებას, შვებას და ლხენას საჭიროდ

სთვლის ადამიანისთვის, და არ უარ-ჰყოფს მათ,

მაგრამ ნუ თუ ცოდვაა წუთიერ სიამოვნებათა

განცდა? მაშ რად ეძიებს მას მთელი კაცობრიობა,

რად ესწრაფება მას დიდიც და პატარაც, მდიდა-

რიც და ღარიბიც? საიდგან სჩანს, რომ ამა ქვეყ-

ნიურ სიამოვნებათა განცდა თავისთავად ცოდვა



იყვეს? თვით საღმრთო წერილი გვეუბნება: ღვინო ახარებს გულს კაცისას (ფსალ. 103,15) და სიცილს ჭეოფენ ზუნი, ღვინო და ზეთი, რომელი შეგებულ ჭეოფის ცოცხლათ (ეკკლეს. 10,20). იგივე საღმრთო წერილი არ იტყვის: იხარებდი, ჭაბუკო, სიჭაბუკეს შენსა .. და ვიდრე გზათ შინა უფლისა შენისთა უბიწოდ (11,10)? და კვალად: მიეცით თაფლუჭი მეოფთა მწუხარებასა შინა, და ღვინო სმად მეოფთა ტკივილუებათა შინა, რათა დაივიწყონ სიგლახაკე, და ტკივილნი არა მოიხსენონ მეტყუელნი (იგავი სოლომ 31,5—7)? განა თვით მაცხოვარმა არ ინება მისვლა ქორწილსა ზედა კანად გალილიასა და განგრძობა მეინახეთა შვება-ლხენისა წყლის ღვინოდ შეცვლით (იოანე 2,1—11)? განა მან არ გვიბრძანა: კბიებდეთ ზირველად სსსუფეგელსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე უფველი (ქვეყნიური შვება-ლხენა) შეგეძინოს თქვენ (მათ. 6,33)? სწანს, სიამოვნებათა განცდა არ არის ცოდვა, თუკი იგი არ დაიმორჩილებს ადამიანს, არ დაატყვევებს მის თავისუფალს სულს და არ შელახავს მის აზნაურებას! უფველივე ჭეოფის ჩემდა, იტყვის წმ. მოციქული პავლე, არამედ არა უფველი უმჯობეს არს; უფველივე ჭეოფის ჩემდა, არამედ მე არავისსა ხელმწიფებასა (არ უნდა) დაუმტკიცებო (1 კორინთ. 6,12). ჩვენი მგოსანიც უპირველეს ყოვლისა გვასწავებს და აღგვძრავს ძებნად სასუფეველისა, ქმნად კეთილისა, დევნად ბოროტისა და აღრჩევად უმჯობესისა?!...

მაშ, საყვარელო, ავხადოთ ჩვენს სასიქადულო მგოსანს ეს ცილის წამება, გადავაფაროთ ზეწარი დავიწყებისა ნემსითთა და უნებლიეთთა შეცოდებათა მისთა, შევავედროთ იგი იესოს ტკბილსა და მოწყალეს და აღვიბეჭდოთ გულის ფიცარზე შემდეგი მისი სიტყვები:


„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას; ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას; კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მაღლით ცხებული; მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული.“

და მერმედ:

„იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა, ღვთისა ღიღებით გალობითა ნათელ-მოსილი, — ვინცა ამ სოფლის ღიღებასა, მზეებრ მნათობსა,

მონებრ არ მიჰსდევს, ჰსცნობს რა მისს შუქს ფუჭ-წარმა- (ვალსა, ვინც ძლიერებას ხმისა მაღლით ამცნო სიმართლეს და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა!\*) ამინ.

მღვ. კ. ცინცაძე.



**ბიბლიოგრაფია.**

„ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“. მ. ს. მ.—ძე. ქუთაისი 1907 წ.

უკანასკნელს დროში ჩვენში ფრიალ გავრცელდნენ პატარ-პატარა იაფ ფასიანი წიგნაკები; ამ პაწია, ადვილად გასაგები ენით დაწერილს, წიგნაკებში სოციალისტების შეხედულობა ცხოვრების სხვა და სხვა მხარეებზე, ნაწვენებია თუ როგორ უნდა მოეწყოს ახალს გეგმაზე საზოგადოებრივი, ოჯახური, შინაური ცხოვრება და სხ. ბევრნი ამ წიგნაკთაგანნი სარწმუნოებასაც ეხებიან საზოგადოდ და კერძოდ ქრისტიანობას და ქრისტესაც. მიზანი სარწმუნოების შესახები წიგნაკებისა ისაა, რომ აღმოფხრას კაცის გულიდან შობიდანვე თანდაყოლილი გრძობა სარწმუნოებისა, ღმერთთან ურთიერთობის დამოკიდებულების. — ამ მიზნის მისაღწევად „სიმართლის და სამართლიანობის მოყვარე“ სოციალისტები არა გვარს საშუალებას არა ზოგვენ, არ ერიდებიან ნამდვილი, კეშმარიტი და ყველასგან ცნობილს ისტორიული ფაქტების უარყოფას და გადაამხინჯებას და ტყუილის მოგონებასაც. რა უჭირთ, კარგი რომ ეს პატარა წიგნაკები უბრალო, გაუნათლებელი ხალხისთვის არიან

\*) გრიგოლ ორბელიანი იმ მატყუარა და ფარისეველ მორწმუნე კაცთა კი არ გავდა, რომელნიც სხვას აჩვენებენ თავს მორწმუნედ და ნამდვილად ურწმუნონი და გარყვნილნი არიან. ხშირად დავდიოდი მის სასახლის ეკკლესიაში როცა ტფილისის სემინარიაში ვსწავლობდი. 1861—1867 წლამდე გრიგოლ ორბელიანს თითქმის ყოველთვის ვხედავდი კლიროსთან; მედავითნესთან ერთად გალობდა და ხშირად ქიდეც კითხულობდა. მას ესმოდა საღმრთო წერილი და იმისი სიტკბო კარგად ჰქონდა ნაგრძნობი. ის ეხლანდელ ჩვენს ქარაფშუტა ნასწავლებს კი არ გავდა, რომელთაც საღმრთო წერილი სრულებით არ ესმისთ, არასოდეს არ წაუკითხავსთ და კრიტიკულად კი არ ჩვენს. ეს ბატონები რას ბოდვენ და რაზე აფუძვებენ თავის უარყოფას თვითონაც არ იცაან... რედ.



დანიშნულები; უბრალო კაცს არ შეუძლიან კრიტიკული თვალით შეხედოს ამ ნაწერებს და დაფასოს იგინი შესაფერად. ეს უმეტესად ითქმის ჩვენს ხალხზედ.

ამ გვარი წიგნების გარჩევა, მათი განხილვა, ჩვენება სიცრუისა და სიყალბისა შეადგენს მათს მოვალეობას, ვისაც გული შესტკივა ხალხისთვის, ვინც არის მისი ქომაგი და ჰირსიუფალი. სასიამოვნო და სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვენშიაც იბეჭდება პატარა პატარა წიგნაკები არა მკითხვე მოძღვართა წინააღმდეგ. 1907 წელში დაიბეჭდა ორი პატარა ამ გვარი წიგნაკი—ერთი თარგმნილი პროფესორ ლერუა-ბოლიესი „ქრისტიანობა და დემოკრატია“ და მეორეც „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში.“\*)


ბებელი არის ერთი უმთავრესი მოძღვართაგანი სოციალ-დემოკრატისა. მისი შეხედულება ქრისტეზე, ქრისტიანობაზე და სარწმუნოებაზე გამოხატულია წიგნში „ქრისტიანობა და სოციალიზმი“, რომელიც ქართულად უთარგმნია ბიბინიევილს, ბებელის შეხედულებით, ქრისტე არის ზღაპრული პირი, იგი სრულიად არა ყოფილა ქვეყანაზე, არ უცხოვრია, არც უმოქმედია, არც არაფერი სჯული არ დაუწესებია; რქისტიანობა, როგორც ყველა სხვა სჯული, მაგალითად მაჰმადიანობა, ბუდიზმი, მოგონილია კაცთაგან, იგი არ არის ღვთისგან განცხადებული სჯული; ქრისტიანული დოღმატიური და ზნეობითი სწავლა გამოგონილია სამღვდლოებისგან; საზოგადოდ, ბებელის აზრით, სარწმუნოება სულ არ არის საჭირო, იგი ერთ-ერთი ბიუროკრატულ-ბურჟუაზიულ დაწესებულებათაგანია და მოისპობა მათთან ერთად; დაბადება, საღვთო წერილი ძველი და ახალი აღთქმისა, რომელზედაც დაფუძნებულია სწავლა ქრისტიანული, არის მხოლოდ კრებული სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა პირთაგან შედგენილი წიგნებისა, რომლებსაც თითქმის სულ არაფერი მნიშვნელობა არა აქვთ. აი უმთავრესი აზრები ბებელისა ბრო-

\*) აღბად ავტორს არ წაუკითხავს სხვა ამ გვარი წიგნაკები რომელიც გამოიცენ სხვა ავტორებისაგან და მუქთად ერიგებოდა ხალხს და არა ფასით. წიგნაკი ქრისტიანობა და დემოკრატია ღირს სამი შაური. პატარა ფორმატის წიგნაკის 52 გვერდის ფასი 15 კ. დიდია.. რედ.

შიურაში—„ქრისტიანობა და სოციალიზმი“—გატარებულნი; ამ გვარია ბებელის ქარხანაში, ლაბორატორიაში ჩამოსხმული ქრისტიანობა.

ეს აზრები ბებელისა დიდი ხანია უარყოფილია კრიტიკისგან და მათ გასავალი აღარ აქვთ მეცნიერებაში,\*) მაგრამ ჩვენს ხალხში კი, რომელსაც წმიდა ფქვილის მაგივრად ანაცერი ქატო მისდის ევროპილად, ბებელი მკითხველი და საუბედუროდ მოწაფეც ეყოლება ამ აზრებს. ამიტომ, სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მღ. მ. ს. მ—ძეს დაუბეჭდია პატარა წიგნაკი—„ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში.“ ამ წიგნაკში უბრალო და ადვილად გასაგები ენით დაწერილში, გარჩეულია ზემო მოყვანილი ბებელის აზრები; ავტორი ჭეშმარიტი ისტორიული საბუთებით და ფაქტებით არღვევს ბებელის შეხედულებას ქრისტეზე და ქრისტიანობაზე; სასურველია ამ წიგნაკის გავრცელება ხალხში, სასურველია ხალხმაც გაიგოს და შეიგნოს, რომ სამღვდლოება არ არის მისი ისეთი მტერი, როგორათაც ეს დასახული ჰყავთ სოციალისტებს—„ხალხის მეგობრებს“; სასურველია გაიგოს ხალხმა, რომ სამღვდლოება მას არ ატყუებს, როცა უქადაგებს ქრისტეს სჯულს, ქრისტეს სწავლა-მოძღვრებას; სამღვდლოებამ თვითონ უნდა დაიცვას თავისი თავი კალმოსანი მტრებისგან კალმითვე და უკუღმართი მქადაგებლებისაგან ქადაგებით...

მასაჩუქედი.



სახელმწიფო სათათბირო

22 მარტის სსდამაზე. სათათბირო განაგრძობს ბიუჯეტის განხილვას. მორიგი საქმეა—სინოდის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. მომხსენებელი კოვალენსკი განმარტავს, რომ 1908 წლისთვის ნავარაუდევია სინოდის გასავალი 29,739,152 მანეთი. კომისია თანახმაა, რომ ეს კრედიტი გადაიდოს, თან იმ აზრისაა, რომ ამ უწყების საფინანსო მეურნეობა ძირიანად უნდა გადაკეთდესო, სახელდობრ:

\*) ექიმი ივანე გამართელი ახლა იწყებს ამ საგანზე ლექციების კითხვას და ფიქრობს, რომ იგი პირველია, რომელმანაც ადრეა კითხვა ურწმუნოებაზე? რედ. რედაქტორი.



უნდა მოახსოვს ის წყვილი, რომლის ბაღით, დღემდე, რაც სინოდს გადაარჩება კრედიტიდან, მისვე განკარგულებაში რჩება, მაშინ როდესაც ყველა სხვა უწყებამ თავისი ეკონომია ხაზინას უნდა ჩააბაროს ხოლმე; უნდა მოეთხოვოს სინოდს სრული ანგარიშები მის „სპეციალურ თანხმებისა“ (აქამდე სინოდი არავის ანგარიშს არ აძლევდა, თუ რა სპეციალური თანხმები აქვს და როგორ იხარჯება ისინი); უნდა მოისპოს სინოდის საკუთარი კანტროლი და მის მეურნეობის კანტროლის საქმე ჩაებაროს სახელმწიფო კანტროლს; სასურველია აგრეთვე, რომ ადგილობრივ საეკლესიო შემოსავალი ადგილობრივ საჭიროებას ხმარდებოდეს და არ გადაიდოს სინოდის განკარგულებაში. მომხსენებელს უპასუხებს ობერ-პროკურორი სინოდისა. სპეციალური თანხები ეკლესიის საკუთრებაა და სრულს მის განკარგულებაში უნდა იყოს. რუსეთში ლიუტერანთაც, კათოლიკეთაც, სომეხ-გრიგორიანცებსაც და ყველა არა მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს საკუთარი ქონება და თანხები, სახელმწიფო მათზე თავის უფლებას არ ავრცელებს და აქ კი ამბობენ, მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა წაერთვას საკუთარი ქონების და თანხების განკარგულების უფლებაო. დანარჩენ ცვლილებათა წინააღმდეგი თითქმის არც ობერ-პროკურორია: რძიანკო ოქტობრისტების მხრით ეთანხმება ობერ-პროკურორს და იმ აზრს იცავს, რომ ეკლესია არ უნდა გავაბიუროკრატოთ სახელმწიფოსთვის მის დამორჩილებით, არამედ ხელი უნდა შეუწყოთ მის მეტ დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგანაო. ამიტომ სასურველი არაა არც მის საკუთარ კანტროლის მოსპობა, არც მის ქონებისა და სპეციალურ თანხების საქმეში გარევაო. დიშა (პოლონელი) აცხადებს: პოლონელი დარწმუნებულნი არიან, რომ სინოდისთვის საჭიროა კრედიტი, მაგრამ საქმე ისაა, როგორ იხარჯება გადადებული ფული; 17 აპრილს უმაღლესად გამოცხადდა სარწმუნოების თავისუფლება და ამით ეკლესიის საქმე განცალკევებულ იქმნა პოლიტიკისაგან; მაგრამ ამას რომ ვერ ვხედავთ ჯერ? შეხედეთ, მაგალითად, როგორ არის განაწილებული ბიუჯეტში ხარჯები: ხოლმესკის ეპარქიაში, სადაც მართლმადიდებელთა ერთ ეკლესიაზე ძლივს 1000 კაცი მოდის, ერთ ეკლესიის საჭიროებაზე 1674 მანათია გადადებული;

„ზილა-რუსეთში კი, სადაც ერთ ეკლესიაზე 10 ათასი მცხოვრები მოდის, 400 მანეთზე ნაკლებია გადადებული. აქედანაც სჩანს, რომ სინოდს განაპირა ქვეყანაში პოლიტიკური საგანი უფრო აინტერესებს, ვიდრე საეკლესიო. სკოლებშიაც სინოდი პოლიტიკით ხელმძღვანელობს. ამნაირად, ჩვენთვის, პოლონელთათვის, ცხადია, რომ სინოდის მოღვაწეობა პოლონეთში მანებელია ხალხისათვის და ამიტომ ჩვენ წინააღმდეგი ვიქნებოდით იმ კრედიტის გადადებისა, რომელიც საკუთრივ პოლონეთში დასჭირდება სინოდს; მაგრამ რადგან ბიუჯეტში არაა აღნიშნული ამ საკუთრივ კრედიტის რაოდენობა, პოლონელთა კოლომ გადაწყვიტა სრულებით არ მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხის გამო კენჭის ყრავი. ბელაუსოვი (ს. დ.) დაწვრილებით არჩევს სინოდის სმეტას და აღნიშნავს, რომ ეკლესიის მსახურნი ჩვეულებრივ მოხელეებათ გარდაიქცნენ და მთავრობა ტყუილად ჰფლანგავს ხალხის ფულს მათზეო. სარწმუნოება ყოველ ადამიანის კერძო საქმეა და, ს.-დ აზრით, ეკლესია სულ უნდა იქმნას განშორებული სახელმწიფოსაგან, სკოლაც—ეკლესიისაგანაო; ამიტომ ფრაქცია წინააღმდეგია სინოდისთვის კრედიტის გადადებისაო. კარაულოვი კანტების მხრით უერთდება საბიუჯეტო კომისიის მოთხოვნათ; თან აღნიშნავს, რომ რუსეთის ეკლესია სრულებით დაიმორჩილა სახელმწიფომ; ეს უნდა მოისპოს და ავტონომიური ეკლესია უნდა გადემოკრატიდესო. მცირე კამათის შემდეგ სათათბირო შეუდგა კენჭის ყრავს. ხმის უმეტესობით სინოდის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდა და აგრეთვე მიღებულ იქმნა საბიუჯეტო კომისიის ფორმულა სასურველ რეფორმების შესახებ სინოდის მეურნეობაში; ფორმულა შეცვლილ იქმნა თანახმად ოქტობრისტების შესწორებისა.

**ფინლიანდიის სეიმის დათხოვნა.**

(ოფიციალური ცნობა)

უმადლესი გნამოცა ფინლიანდიის ეხლანდელ სეიმის დათხოვნისა და ახალ სეიმის მოწვევასზე:  
 „წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვა, და სხვა, უცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ ფინლიანდიის დიდს



სამთავროში: ვბრძანეთ რა მოახდინონ ახალი არჩევანი სეიმის დეპუტატებისა, სასარგებლოდ ესცანით დავითხოვოთ ეხლანდელი მორიგი სეიმი მიმდინარე წლის 24 მარტს და, თანახმად ჩვენ მიერ 1906 წელს 7 ივლისს დამტკიცებულის სეიმის წესდების მე-16 მუხლისა, მოვიწვიოთ ახალი სეიმი ამა წლის 1 აგვისტოს ახლის სტილით ქალაქ ჰელსინგფორსში. და ამიტომ ყველა პირი, რომელიც სეიმის დეპუტატად იქნება არჩეული, უნდა მივიღეს აღნიშნულ დროს ქალ. ჰელსინგფორსში თავის მოვალეობის აღსასრულებლად სეიმის წესდების თანახმად.

ნამდვილზედ მის იმპერატორებით უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია.

**„ნიკოლოზ“**

ცარსკოე სელოში 22 მარტს 1908 წელს.

ხელს აწერს მინისტრი სტატის-სეკრეტარი ლანგოფი

**24 მარტის სხდომა.** მორიგი საქმეა მწვავე საკითხი ამურის რკინის გზის გაყვანის შესახებ. მთავრობის პროექტია: გაყვანილ იქმნას მეორე ლიანდაგი ციმბირის რკინის გზისა, რომელიც ამურის მხარეს გადაჭრის. იაპონიასთან ომმა გამოამყვანა სრული სისუსტე ერთ ლიანდაგიან გზისა: ვერ ასწრობდნენ ჯარების და საომარ მასალის გადაზიდვას, შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიის დასაცველად მთავრობა საჭიროდ სთვლის ციმბირში ახალ გზების გაყვანას და უდიდეს მნიშვნელობას აძლევს ამურის რკინის გზას. სათანადო პროექტი განიხილა სათათბიროს ორმა კომისიამ: რკინის გზათა საქმეებისა და სახელმწიფოს დაცვისა. პირველში უმრავლესობა ოქტომბრისტებს ეკუთვნის მეორეში მარტო ოქტომბრისტები და მემარცხენენი არიან. მიუხედავად ერთნაირ შედგენილობისა, კომისიებმა სხვა და სხვა ნაირად შეხედეს მთავრობის პროექტს: გზათა კომისია წინააღმდეგია ამურის რკინის გზის გაყვანისა, ხოლო სახელმწიფოს დაცვის კომისია მომხრეა. სათათბიროს ოპოზიციისა და ოქტომბრისტების ძირე ნაწილი წინააღმდეგია, ხოლო დანარჩენი სათათბიროს მომხრეა. მოგლიან მწვავე კამათსა და შეტაკებას. პირველ სხდომას დაესწრნენ თვით სტოლიპინი, გზათა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი და სამხედ-

რო მინისტრის ამხანაგი, ჩაეწერა 60-ზე მეტი ორატორი. პირველ დღეს მომხსენებელის გარდა სიტყვები წარმოსთქვეს გზათა მინისტრმა, სამხედრო მინისტრის ამხანაგმა, გრ. უვაროვმა (მემარჯვე) და პროგრესისტმა ლვოვმა, გზათა მინისტრმა და სამხ. მინ. ამხანაგი იცავდნენ მთავრობის პროექტს. ხოლო ლვოვი ამტკიცებდა, ამურის გზასაც ის ბედი ეწვევა, რაც მანჯურის გზას მოუვიდაო; ჩვენ ავაშენებთ, გარეშე მტერი კი წაგვართმევსო; შ. აღმოსავლეთის დაცვა არც ციხეებს, არც სტრატეგიულს რკინის გზებს არ შეუძლიათ: საჭიროა ციმბირში კულტურის ამაღლება, გადასახლების საქმის უკეთ მოწყობა და სხვა ამგვარი ზომები, რომელნიც თავისთავად გააძლიერებენ განაპირა ქვეყანასო; ახლა კი ახალ ავანტიურას ემგვანება რკინის გზის გაყვანა, მილიონების ჩაყრა იმ ქვეყანაში, სადაც მცხოვრებნი არ არიან და სადაც სხვა რეფორმებია განსახორციელებელიო. კომისიის მომხსენებელი მარკოვი (1-ლი) გამოეკამათა მინისტრს და ამტკიცებდა, რომ უფრო საჭირო იქნება კომერციულ-ეკონომიურ გზების გაყვანა, ვიდრე სტრატეგიულისაო.

**ახლო აღმოსავლეთი.**

**და უნდა ოსმალეთს?** „რუს. სლოვო“-ში ბ.ნი დ. ამტკიცებს, რომ ოსმალეთს სპარსეთის ჩრდილოეთ ნაწილის დაჭერა სწადიან და არა რუსეთთან ომიო. ბ.ნი დ. სწერს:

„სახელმწიფო სათათბიროში ახლო აღმოსავლეთის საქმის შესახებ კამათის დროს მილიუკოვმა აღნიშნა, რომ რუსის საზოგადოებამ მაკედონიის საქმის გარდა ისიც უნდა იცოდეს, თუ რა ხდება ჩვენის კავკასიის საზღვარზეო. სათათბირო ელოდა გარეშე საქმეთა მინისტრის განმარტებას. მაგრამ ბ. იზვოლსკიმ არ უპასუხა. ეს საკითხი ჯერჯერობით გამოურკვეველი დარჩა. ეს მით უფრო დასაინახია, რომ ოსმალეთსა და სპარსეთში საყურადღებო ამბები ხდება. ჩვენ ვეცდებით გამოვარკვიოთ, თუ რა ამბები ხდება კავკასიის საზღვარზე. ცნობები მიღებული მაქვს სრულიად სარწმუნო წყაროდან და მგონია, რომ ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს მათი გაცნობა.



დიდი ხანია რუსულსა და უცხოეთის პრესაში იბეჭდება ცნობები, რომ ვანთან, ესე იგი თითქმის ზედ ჩვენ საზღვართან, ოსმალეთი თავს უყრის ჯარსაო. როგორც ეტყობა, ოსმალეთს უკვე დაუწყია ჯარის მობილიზაცია და სათადარიგო ჯარის-კაცები ყველა მხრიდან მოდიან დანიშნულ ადგილას. ოსმალეთის მთავრობამ ამის თაობაზე უკვე გამოაცხადა ოფიციალურად დამამშვიდებელი ცნობა, რომ რუსეთის წინააღმდეგ-კი არა, სომეხთა მოსალოდნელ ამბოხების ჩასაქრობად იგზავნება ვანში ჯარიო. ჩვენ შეგვატყობინეს, რომ ოსმალეთის ცნობაში მხოლოდ პირველი ნახევარია მართალიო. მართლაც და ოსმალეთი ვერ გაბედავს რუსეთზე დაცემას. მაგრამ ის კი ცხადი ტყუილია, რომ ოსმალეთი მხოლოდ სომხებისთვის ჰგზავნიდეს ჯარსა. სომხების შესაშინებლად უფრო დიდ გაჭირვების დროსაც არ მოუწყვევიათ სათადარიგო ჯარი.

ოსმალეთი ჯარს აგროვებს სპარსეთისათვის და არა რუსეთისა და სომხებისთვის. ბოლოს დროს მომხდარი ამბები სრულად ამტკიცებენ ამ მოსაზრების სიმართლეს. ოსმალეთის ჯარს უკვე ეჭირა დიდი ადგილი სპარსეთის სამფლობელოში და დღემდე მთლად არ დაუცლია იგი. რომ ეს მოსაზრება უფრო ჭკუაში მოგივიდეთ, საკმაოა გაიხსენოთ ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი.

ამ წამს ოსმალეთის მთავრობა ყველაზე მეტ მფარველობას უწყევს პანთურქების პარტიას, რომელიც ქადაგებს ყველა თურქების, ანუ თათრების, შეერთებას სულთანის ბრძანებლობის ქვეშ. ეს პარტია იმ აზრისაა, რომ დღეს თუ ხვალ ოსმალეთს აუცილებლად განდევნიან ევროპიდან. ინგლისის პროექტი მაკედონიის შესახებ, ოსმალეთის ოფიციალურ წრეების აზრით, დაამხობს ოსმალთა ბატონობას ევროპაში. რეფორმები მაკედონიაში აუცილებლად დაგვირგვინდებოდა ამ ოლქის ავტონომიით. ასე იყო კუნძულ კრიტზე, ასე მოხდება მაკედონიაშიაც, ოსმალელი პატრიოტები უკვე შეგურიგდნენ ამას. მაგრამ პანთურქებს სამაგიერო ადგილის აღება სურთ და ესეთ სამაგიერო ადგილად ისინი სთვლიან ადერბეიჯანს.

ადერბეიჯანი—სპარსეთის პროვინციაა, რომელსაც ჩრდილოეთით საზღვრავს რუსეთი. დასავლეთით—ოსმალეთი, იქა სახლობენ ევრედ წოდებული ადერბეიჯანის თათრები, რომელნიც ტომით

ახლო ენათესავებიან ოსმალთ. ის თათრებიც, რომლებიც რუსეთის სამფლობელოში, შაქოსა, განჯასა, ერევნისა და ნაწილად ტფილისის გუბერნიაში სახლობენ,—ისინი იგივე ადერბეიჯანის თათრები არიან.

ოსმალეთისათვის ადერბეიჯანის ხელში ჩაგდება აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. ოსმალეთს 27 მილიონი ქვეშევრდომი ჰყავს; ამათგან მხოლოდ 9 მილიონია წმინდა ოსმალთა, ანუ თურქი (თათარი). დანარჩენი 18 მილიონი ქურთია, ეზიდი, არაბი, სომეხი ბერძენი, სლავიანი და სხვა. რაღა თქმაუნდა, რომ ცხრა მილიონი ოსმალთა დიდხანს ვერ იბატონებს 18 მილიონ უცხო ტომის ხალხზე. ეხლა თუ მაკედონია მოჰმორდება და მის სამაგიეროდ ადერბეიჯანი ჩაიგდოს ხელში ოსმალეთმა, მაშინ თურქები უმეტესობას მოიპოვებენ სულთნის იმპერიაში და მისთვის ისე საშიში აღარ იქნება მოსალოდნელი ამბოხება სომხებისა, ქურთებისა, არაბებისა.

პანთურქების პარტიას ძლიერ სწყალობენ და თითქმის აშკარად მფარველობენ ოსმალეთის ოფიციალური წრეები. პარტიის აზრებს ავრცელებს სამღვდლოება. ოსმალელ პატრიოტებს, სამღვდლოებას და მთავრობის წრეებს—ყველას თვალის უჭირავთ სპარსეთზე.

აი ასეთი ფაქტები შევიტყუეთ. ეხლა როგორ უნდა მოიქცეს რუსეთის დიპლომატია? რა ცვლილება მოხდება, ოსმალეთმა რომ ადერბეიჯანი ჩაიგდოს ხელში?

კავკასიის საზღვრის ერთი მესამედი აკრავს ოსმალეთს და ორი მესამედი სპარსეთს, სწორედ იმავე ადერბეიჯანს. საზღვრის დასავლეთი ნაწილი, ოსმალეთის მხარეს, მთიანია და ძნელი გასავლელი, თითქმის სრულიად შეკრულია არარატიითა და იმისი ქედითა. ამას გარდა, იქ აშენებულია რამდენიმე ციხე-სიმაგრე. სამაგიეროდ სპარსეთის საზღვარი უფრო ადვილი გასავლელია და სრულიად გაუმაგრებელი. რადგან ჩვენში არავის ფიქრად არ მოჰსვლია, რომ სპარსეთი როდისმე დაცემას შეიძ-



ლებდა რუსეთზე. ოსმალეთმა რომ ადერბეიჯანი დაიჭიროს, რუსეთს დიდი ხარჯი დასჭირდება საზღვარზე ციხეების ასაგებად და უფრო საშიში მეზობელი ეყოლება. ამას გარდა რუსეთს დიდი ეკონომიური ზარალიც მოუვა: ეხლა 30 მილიონ მანეთის რუსის საქონელი საღებმა მარტო ადერბეიჯანში. რუსეთის რკინის გზა მიდის ჯუღთამდე. ჯუღთიდან თავრიზამდე გაყვანილია გზა-ტყეცილი, რომელზედაც შეიძლება ადვილად გაიმართოს რკინის გზა. ეს გზა მთელს სპარსეთში ავრცელებს რუსის კულტურას და ახალ ბაზარს უჩენს რუსეთს. სპარსეთის მთელი დასავლეთი ნაწილი ინგლისსა და რუსეთს შუაა გაყოფილი. სამხრეთი ნაწილი ინგლისის გავლენის ქვეშაა, ჩრდილოეთი — რუსეთის გავლენის ქვეშა აქამდე რუსეთს სულ არ უსარგებლნია ხსენებულ ადგილებით, თუმცა იქ დიდი ხეირის შეძენა შეიძლება. თუ ოსმალეთი ადერბეიჯანს ჩაიგდებს ხელში, მაშინ რუსეთი ხომ სულ ველარას ისარგებლებს იქა, რადგან ყველაფერს, რითაც რუსეთი სარგებლობდა, გერმანია დაეპატრონება.

გერმანია ძალას ატანს ოსმალეთს, ადერბეიჯანი დაიჭიროვ, რადგან უამისოდ იგი სპარსეთის ყურესაკენ გზას ვერ გაიკაფავს. ამას ძლიერ ეწინააღმდეგება ინგლისი, რომელიც, თუ ოსმალეთი გერმანიის სურვილს შეისრულებს, მაშინვე სპარსეთის ყურეს ნაპირებზე არაბებს ააჯანყებს სულთანის წინააღმდეგ. ოსმალეთმა რომ ადერბეიჯანი ჩაიგდოს ხელში, გერმანია გაძლიერდება და ინგლისს მეტად გაუჭირდება მაშინ მასთან ბრძოლა. ინგლისი ემხრობა რუსეთს, რომელმაც უნდა ისარგებლოს ინგლისის დახმარებით და ოსმალეთს ადერბეიჯანის დაჭერა მოუშალოს“. („ისარი“)

—**სპარსეთის საზღვარზე.** სპარსელ მემთაბარეთა მეთაურს მამედ კულიხანს შეუკრებიან ოცი ათასამდე შეიარაღებული კაცი და დიმანის პოსტის პირდაპირ გამაგრებულა.

სპარსეთის საზღვარზე გაგზავნილი მაშველი

რაზმი გენ. სნარსკის უფროსობით 17 აპრილს მისულა გემებიო ლენქორანში და იქიდან სპარსეთის საზღვრისაკენ გამგზაარებულა. ეს რაზმი შესდგება მსროლელთა ორი ბატალიონისა, სამთო არტილერიის ერთი ბატარეისა და ყაზახთა ორი ასეული-საგან.

რუსის ჯარი ბელასუვარიდან დიმანის პოსტისაკენ მიდის. თან 5000 ფუთი ტვირთი მიაქვს. რაზმს სებიჯანის ბოქაულმა მენარძემ მოურეკა 400 აქლემი, 800 ცხენი და 200 ფურგუნი ტვირთის გადასატანად.

სპარსეთის რწმუნებული სალარ მუვაკარი ვიზიტად იყო რუსის მოხელეებთან, რომელთაც სამაგიერო გადაუხადეს. მოვიდა სპარსეთის დამოუხის ინსპექტორი გამოძიების მოსახდენად ბელუსავარის დამოუხის დაწვის შესახებ.

ცნობა მიიღეს, რომ სპარსეთის საზღვარზე შეგროვდნენ ახალი რაზმები სპარსელ ყაჩაღებისა, შახსენებისა და სხვებისა მამედ-კულიხანის მეთაურობით. მათ დასამშვიდებლად სპარსეთის ჯარი წავიდა არდაბილიდანა და თავრიზიდან („კ“).

თავრიზიდან ცნობა მიიღეს, რომ ქურთებმა ხელახლად დაიწყეს მოძრაობა სოუჯბულისა და მიანბადს ახლოო.

ურმიი ენჯუმენმა ხოის ენჯუმების საშუალებით შევლა სთხოვა თავრიზის ენჯუმენს და თან შეატყობინა, რომ 2,000 ზე მეტი ქალი და ბავშვი ქურთებმა დაატყვევეს, ბევრნი ძლიერ აწამესო. ურმიიში მიმავალ გზებზე ოთხსავ მხარეს ქურთები ჩადგნენ. გზაში მიმავალი სავაჭრო საქონელი გაცარცვეს. თავრიზში ბრძანება მიიღეს თეირანიდან. საჩქაროდ შეკრიბეთ ათი ათისი შეიარაღებული კაცი და ქურთების წინააღმდეგ გაგზავნეთო.

თეირანში ცნობა მიიღეს, რომ ურმიის ოლქში ქურთებმა ხელ-ახლად აიკლეს მრავალი სოფელიო, („პ. დ. ს.“).



# ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* ბალაჯარიდან თბილისში მოსულა სამხედრო მატარებელი, რომლის ორი ვაგონი, როგორც „ზაკ“. გადმოგვცემს, გაქურდული აღმოჩნდა—პლომბები აეწყვიტათ და მავთულები დაეგლიჯათ. წაუღიათ 12 ფუთი თოფის წამალი და 15 ფუთი პიროქსილინი. დაუბატონებიათ კანდუქტორთა მთელი ბრიგადა.

\* \* 26 მარტს ტფ. „სობრანიეს“ დარბაზში სადილი გამართეს ტფილისისა, ქუთაისისა, ბაქოსა, ბათუმისა, ფოთისა, ერევნისა და სხვა ქალაქების თავებმა და თვითმართველობის წარმომადგენლებმა. სადილის დროს სიტყვები წარმოსთქვეს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა, ა. ი. ხატისოვმა, ნ. ზ. ელიავამ, ნ. თავდგირიძემ და სხვ. გამოსთქვეს სურვილი ქალები თვითმმართველობათა დაახლოვებაზე და დრო გამოშვებით კრებების მოხდენაზე. დამსწრეთ გადასწყვიტეს, დაავალონ ტფ. ქალაქის გამგეობას შემომუშაოს გეგმა ამ აზრის განხორციელებისა.

გასაკვირვალი რომ ერთად შეყრის დროს სადილების გასასართავად არ არის ქალაქების შემოსავლიდან ნაგარაუდვეი საჭირო ხარჯები...

\* \* 21 მარტს ტფ. სასულიერო სემინარიის რექტორის ბინის შესავალთან ვილაკას პეტარდა დაუგდია პეტარდა გამსკდარა და შეშინებულან შენობაში მყოფნი. სემინარიის მთავრობის ნებართვით მოხდა მოსწავლეთა კრება, რომელმაც დაადგინა, „ზიზლი გამოუცხადოს პროვოკატორებს, რომელთაც პირად ინტერესებისათვის უნდათ ხელი შეუშალონ სწავლის ნორმალურ მიმდინარეობას“.

\* \* ამ კამდენისამე ხნის წინად ქართლ-კახეთის სამღვდლოების დებუტატთა კრებამ, თანახმად უმაღლეს სასულიერო მთავრობის წინადადებისა განიხილა საკითხი სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების სწავლების შესახებ. კრებამ დაადგინა სწავლება საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენაზე უნდა მოწყობილიყო. დადგენილება სინოდს გაეგზავნა.

ესლა მოწერილობა მოსულა სინოდისაგან, სწავლას ქართულ ენაზე ვერ მოაწყობთ, რადგან ისახელმძღვანელოები არა გაქვთო.

\* \* „რუსის ხალხის კავშირი“ აღდგომის პირველ დღეებში აპირობს დიდ პატრიოტულ მანიფესტაციის გამართვას მთელ რუსეთის იმპერიაში. კავშირის უმთავრესი საბჭო მრავალ დებემას უგზავნის ადგილობრივ განყოფილებათ ამ საქმეზე. მანიფესტაციის დროს კრუშევანი კიშინოვში იქნება.

ეკატერინოსლავიდან იუწყებიან: ქალაქში რუსის ხალხის კავშირის პროკლამაციებს ავრცელებენ. პროკლამაციებში, სხვათა შორის ნათქვამია: „ქალაქი განაწილებულია რაიონებად. ღამე, როცა რევოლუციის სროლას გაიგონებთ და სახლებს ცეცხლი წაეკიდებათ, შეცვივდით ურიების სადგომებში და გაწყვიტეთ. ელოდეთ სიგნალს.“

\* \* კავშირის უმთავრესმა საბჭომ ამ დღეებში საყურადღებო ცირკულიარი გაუგზავნა კავშირის პროვინციალურ განყოფილებათ და ზოგიერთ გამომჩენილ წევრს. ცირკულიარში ნათქვამია: „ბოლოს დროს შევნიშნეთ, რომ კავშირის საჩაიებისა და პოლიტიკურ კლუბების უმეტესობა ავრცელებს კავშირის წევრთა შორის ისეთ გამოცემათ, რომელნიც სრულიად არ გამოსთქვამენ პატრიოტულ აზრებს და პირიქით კრამოლნიკურ მიმართულებით ხალხსა რყენიან. ასეთი გაზეთებია: „ნოვოე ვრემია“, „სვეტ“-ი, „გოლოს პრავდი“, „კოლოკალი“, და სხვა. გარდა ამისა, ამ გაზეთებში იღებენ მონაწილეობას კავშირის ზოგიერთი წევრები, წერილებსა ჰბეჭდვენ იქა, რაც სრულიად მიუტევებელია. ამიტომ, საგანგებო კრების დადგენილების თანახმად უმთავრესი საბჭო ბრძანებს, რომ „კავშირის კლუბსა, სამკითხველოებსა და საჩაიებში ამიერიდან აღარ იკითხებოდეს ხსენებული გაზეთები და იკითხებოდეს მხოლოდ „რუსკოე ზნამია“ „ვეჩე“ „დრუგ“-ი და პროვინციალურ განყოფილებათა ორგანოები. ხოლო კავშირის წევრნი მოვალენი არიან აღარ იმუშაონ ისეთ გაზეთებში, რომელთაც დამოკიდებულება არა აქვთ რუსის



ხალხის კავშირთან.“

\* \* რადგან გაზეთებში ახალი ცნობები დაიბეჭდა, ვითომ ოსმალეთი ომის თაღარიგს იჭერდეს კავკასიის საზღვარს ახლო, „პეტერბ. სატელეგრაფო სააგენტოს“ მონდობილი აქვს გამოაცხადოს, რომ ოსმალეთის მთავრობამ, როგორც თვენახევრის წინად, საკუთარის თაოსნობით ხელახლად შეატყობინა თავის ელჩის პირით რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ პრესის ახალი ცნობები ოსმალეთის სამხედრო მზადებაზე არ შეეფერება სინამდვილეს. პეტერბურგში მყოფ ოსმალელ ელჩის ფორმალურ განცხადების თანახმად, ოსმალეთის მთავრობას არავითარი ზომა არ მიუღია ჯარის თავის მოსაყრელად, ყველა ბოლომდელი სამხედრო დონისძიებანი, პათ შორის რამდენისამე ბატალიონის გაგზავნა ვანისაკენ, გამოწვეულია, ოსმალეთის მთავრობის განმარტებით, მხოლოდ შიშით, ვაი თუ ვანის ოლქში უწყსოება მოხდესო. (პ. დ. ს.)

\* \* ვარშავის გაზეთები იუწყებიან, რომ იმ ორგანიზაციას, რომელიც მსურველთ აძლევდა ყალბ ატესტატებს, ბევრგან ჰყოლია აგენტები რუსეთის ქალაქებში. გიმნაზიის ატესტატში ართმევდნენ თურმე—1500 მან., ექვსი კლასის დასრულების ატესტატში—800 მ., აფთიაქრის ატესტატში—300—600 მან.

\* \* სოფელ საგარეჯოში (გარეთ კახეთი), ამ რამდენისამე ხნის წინად დაიკარგა მოხუცი ქალი ბატუა ახიჯანოვი. ხალხმა მკვლევლობაში ეჭვი მიიტანა მოხუცის შვილის-შვილზედ გიორგი ახიჯანოვზე, რომელიც ბოლოს გამოტყდა და სთქვა: „ასი მანეთი ამოვაცალე და მერე მოვკალიო“. ხალხმა აღმოაჩინა სოფლიდან ორ ვერსე დამარხული გვამი, ტომარაში გამოხვეული. ტანისამოსი კი ქვევრში იყო ჩაყრილი. 15 აპრილს ხალხმა გაიყვანა დამნაშავე რიყეზე და სასოფლოთ ჩააქვავა.

\* \* რუსულ გაზეთების სიტყვით, კავკასიაში გამოუგზავნიათ დიდი თანამდებობის კაცი, რომელმაც უნდა მოახდინოს რევიზია ადგილობრივ მთავრობის დაწესებულებებისა. რევიზია ერთ თვეს გასტანს.

\* \* 18 აპრილს, ნაშუადღევს პირველ საათზე ტფ. საბჭოს ხმოსნებმა ქალაქის თავის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მეთაურობით დაათვალიერეს სოლოლაკის ტუნელი. როგორც სთქვეს ტუნელში ძლიერი წყარო აღმოჩნდა. ქალაქის თვითმართველობას უნდა ეს წყარო გამოიყენოს.

\* \* ბათუმში დაარსებულ სახალხო საუნევერსიტეტო საზოგადოებისთვის ადგილობრივ ადმინისტრაციას აუკრძალავს ქართულად და სომხურად ლექციების კითხვა.

\* \* 1907 წელს აგვისტოში თფილისიდან გატაცებული სახელმწიფო ბანკის ფული ბოლგარიაშიდაც აღმოჩენილა. ხუთას მანეთიანები (ქალაქის ფული) უნახეს თურმე ვილაც მკედონელს ტუფენჩაევს. ტუფენჩაევმა „კავ.“ ს სიტყვით, გამოტყბილა—ეს ფული მივიღე რუს-რევოლიუციონერებისაგან, რომელთაც ასაფეთქებელი ნივთიერებანი მივყიდეო. ტუფენჩაევი თავდებობით გაუნთავისუფლებიათ და გამოძიებას შესდგომიან.

\* \* 10 აპრილს კავკავის რკინის გზის სამაშენისკის სადგურს დასცემია რამდენიმე შეიარაღებული კაცი, აუტეხიათ სროლა, შემდეგ გაუტაცნიათ კასის ყუთი, რომელშიაც 12,300 მანეთი ყოფილა და მიმალულან.

\* \* 17 აპრილს, ნაშუადღევს 4 საათზე, სომხის ბაზარში, ვაჭრის არშაკ აკოფოვის მაღაზიაში, პოლიციელის ცნობებით, მივიდა ყმაწვილი კაცი და იკითხა თითვან აკოფოვი. როდესაც უთხრეს, აქ არ არისო, ყმაწვილმა განაცხადა, ხუთ საათზე მოვალ და დამხვდესო. ჩაასაფრეს რამდენიმე კაცი და ხუთ საათზე შეიყრეს რაკის მაზრის მცხოვრები დავით შარაბიძე. გაჩხრეკის დროს უნახეს მუქარის წერილი ქართულათ. წერილში უბრძანებდა აკოფოვს ასი თუმანი დაამზადეო.

\* \* გაზეთ „ბაკუ“-ში დაბეჭდილია: „აღდგომის პირველ დღეს, დილის 9 საათზე ოქრომჭედლის კობანის მაღაზიაში, ტელეფონის ქუჩაზე შევარდა ოთხი შეიარაღებული ქართველი; დაიძახეს—„ხელები ზევითო“, გაიტაცეს 1000 მანეთი ფულად და შეიდასი თუმნის ოქრო-ვერცხლის ნივთები და მიიმალენ“.







# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწამოებსა და კეთილ-ზნობაზე.

ალსაკობის წინ.  
(თაგვანი)

„შეინანეთ!“...

რომელს ჩვენგანს არ გამოუცდია ზაფხულში გვალვა. მთელი კვირაობით სდგა აუტანელი სიცხეები. ცაზედ არა სჩანს ღრუბელი, ჰაერში არ იძვრის ნიავი. მშრალი და ცხელია ჰაერი. დედამიწა გახურებულია. ბალახი გადამხმარია. ბუნებაში მეტად აღარა სჩანს სიცოცხლე და მხიარული ფერები. აუტანელად იტანჯება მიწაზე ყოველი სულდგმული. ადამიანი მზადაა გაიქცეს შორს სადმე, ოღონდაც როგორმე მოშორდეს ამ ტანჯვას. ყველა გრძნობს, რომ თითქოს დედა-მიწაზე დადის შეუბრალებელი აჩრდილი სიკვდილისა. მალლა ცაზედ თავისებურად ანათებს პაპანაქი მზე და ავსებს თავის მწვავე სხივებით თვით მივარდნილ კუნჭულს დედა-მიწისას, კაცს ჰგონია, აი, აი ცოტა კიდევ და დედა-მიწაზე ყოველი ცხოველი დაიღუპება ამ გახურებულ სახმელში...

მაგრამ აი ცაზე გაჩნდა პატარა, თვალით ძლივს გასარჩევი, შავი ღრუბლები. ისინი სწრაფად შეგროვდნენ და დიდ შავ ღრუბლებად გადაიქცნენ. დღე ჩამობნელდა. საღაც გაჰქრა მწვავი მზე. გაჩნდა ნიავი და დაჰბერა სიგრილემ. გაიელვა და გასქრა ჰაერი ცეცხლებრივი ისრებით. გავარჯა მუხი. ნელა დაიწყო დენა მიწაზე წვიმის მსხვილმა წვეთებმა. აი უჭელაფერი აირია. წვიმა ასხამს ციდან მღელვარე ნიაღვარით და ავსებს მიწაზე ყოველივეს თავის გამაცოცხლებელის სისველით. გაიბანა წვიმისაგან ზვითეული ყვავილი, თვითეული ბალახი, თვითეული ფოთოლი ხისა. გაიბანა მთლად დედა-მიწა. გაიწმინდა მტვრისაგან თვით ჰაერი...

თან და თან წყნარდება ქარიშხალი. ღრუბლებში აქაიქ იშუქა მზემ და გამოკრთა ათასნაირი

აღმასივით ჩამოკიდებულ წვეთებში. ჰაერი აღივსო სიგრილით და სუნნელებით. გაცოცხლდა მთლად ბუნება; თითქოს განახლდა. და ვერაფერი გაძლება ცქერით ამ ახალი სიცოცხლისა, ამ გაგრილებული ბუჩქებისა, ამ მომღიმარე ცოცხალი ყვავილების და ბალახისა; ვერ გაძლება სუნთქვით საუცხოვო ჰაერისა, რომელიც მთლად გარშემო მოფენილია. დაიწყებულია წინანდელი სიძნელე და ტანჯვა. კვლავ ადამიანი მხიარულია და კეთილ-განწყობილებაშია, თითქოს დედა-მიწაზე არასოდეს არ ყოფილიყვეს არავითარი ტანჯვა.

ძმანო—ქრისტიანენო! ყველანი ჩვენ განვიცდიდით ბუნების ამ ტანჯვის წამებას, და მასთან ერთად ჩვენ საკუთარ ტანჯვასაც. მაგრამ მე აქ ბუნების ტანჯვაზე კი არ მინდა ლაპარაკი. მე მინდა აქ ვილაპარაკო სხვა უმფრო მწვავე და მძიმე ტანჯვაზე.

ბუნებაში ბევრია ისეთი რაიმე მოვლენა, რომელიც არის ჩვენთვის ცხოველ, ბრძნულ და სამოძღვრო წიგნად. ბუნება ხშირად ხდება ჩვენთვის სარკედ, სადაც სჩანს თითქმის მთელი ჩვენი ცხოვრება. შეხედეთ, ჩაუფიქრდით აი თუნდა გვალვის მოვლენას, რომელიც კულ დღეს აყენებს დედა-მიწას. განა ვერ ნახავთ აქ რაიმე სამოძღვროს თქვენდა? განა არ არის ჩვენ სიცოცხლეშიაც ღლეები ისეთივე მძიმე, მოსაწყენი, მტანჯველი გვალვისა, რომელსაც არ იცი სად გაექცე? განა ჩვენ სულშიაც არ გაისმის ხოლმე ქუხილი და ელვა, რომელნიც სჭრიან და ანათებენ ჩვენის ცხოვრების სიბნელეს? განა არ გადაივლის ხოლმე სულზედაც დრო გამოშვებით მადლიანი, მომხიბლავი ნიავი? განა არ გავირეცხებით ხოლმე ჩვენც ხან და ხან მადლიანის წვიმით, რომელიც საიღვანლაც უხილავად მოდის ჩვენზე?

დიად, ნაცნობია და შეჩვეული ვართ ამას, ძმანო—ქრისტიანენო! მოიგონეთ წარსული ცხოვრება თქვენი სულისა და თქვენ შენიშნავთ, მოგაგონდებათ, და დაინახავთ თქვენში ამ ორ მოვლენათა.

მართლაცა და რომელს ჩვენგანს არ გამოუცდია თავის სიცოცხლეში რაღაც უანგარიშო მწუხარება, რაღაც მუდმივი სულის სიმძიმე, რაღაც გაუგებარი მოწყენა, რომელიც გადადის ზოგჯერ სრულ სასოწარკვეთილებამდე. თითქოს კაცს რაღაც ქვა დაეცა და დააქექყა იგი მიწას. თვალეები, რომ-



ლებიც წინათ ხედავდნენ გარშემო მარტო მხოლოდ სიკეთეს, ეხლა ხედავენ მარტო მხოლოდ სიბოროტეს. თითქოს კანის ნიშანი ედება ადამიანს, რომელიც მუდამ აშინებს მას და მოსვენების ადგილს ვეღარ ჰპოვებს. თვით ღამეც-კი არ აძლევს მას მოსვენებას. კაცი სცდილობს გაექცეს თავის თავს, მაგრამ არ შეუძლიან ეს არასგზით და არასოდეს. როგორც ჩრდილი დასდევს კაცს, ეგრეთვე ცოდვილს ყველგან დასდევს მისი მძიმე ფიქრი. ყველაფერი მას ხელიდან ვარდება. შეურაცყოფასა და უსამართლობას ამნევს ასეთი კაცი ყველგან გარშემო, მარჯვნივ და მარცხნივ. კაცს ასეთ წუთებში ძვირფასად არაფერ არ მიაჩნია. მისი ხელი სჯის უსუსურ ბავშვს, ავიწროვებს თავის ცხოვრების მეუღლეს, არ ინდობს თავის დედ-მამის მოხუცებულებას. ამ წუთებში თავის თავიც არ მიაჩნია კაცს ძვირფასად. ბევრი იმ ზომამდის მიდის, რომ ვეღარ ითმენს ამისთანა მღვთმარეობას და თავს იკლავს.

ძნელია ეს წუთები. არც ერთ ქვეყნიურ ექიმს არ შეუძლიან მაშინ კაცის განკურნება. ბევრს მისცემდა კაცი იმას, ვინც მის სულს დაამშვიდებდა...

ვის ჩვენგანს არ გამოუცდია, ვიმეორებ, რა ძნელია, როდესაც სულის მშვიდობა არ არის, როდესაც არ არის მშვიდობა ჩვენს ძვლებშიაც-კი, როდესაც ვიღაც დღე და ღამე, როგორც დიდი უბედური ტუსალი, იტანჯება, სწვალობს, ტირის, სჩივის ჩვენში, საითკენღაც გვიძახის ჩვენ, განუწყვეტლივ საითკენღაც გვეწევა ჩვენ? ვინ არ გამოსცადა თავის სულში ამის მსგავსი მღვთვარება ტანჯვისა? ვის ყურში არ გაისმა საიდუმლო ხმა, რომელიც გვიძახოდა ჩვენ ხან ნახათ, ხან ბრძანებლობით? ვინ არ გრძნობდა ამ საზოგადო ლტოლვილებას, ამ საერთო მთელი ჩვენის არსების მისწრაფებას საღდაც შორს, სამეუფეოში რაღაც გამოუთქმელ მშვიდობისა, ნეტარებისა და ჭმაყოფილებისა?

იციოთ რა ხმაა ეს ჩვენში?

იყო ერთი კაცი ქვეყნად. ის ატარებდა გარყვნილ ცხოვრებას, და რაც ღრო მიდიოდა, უფრო მეტად ეცემოდა ძირს, და ბოლოს სარწმუნოებაც დაჰკარგა. მას შემდეგ აღარავის შეეძლო დაებრუნებინა იმისათვის დაკარგული ძვირფასი განძი. საუბრობდნენ მასთან სარწმუნოებაზე ბრძნები, მაგრამ იმათაც არ შეეძლოთ სარწმუნოება აღედგინათ მასში. საშინლად იტანჯებოდა და ეწვალე-

ბოდა იგი ურწმუნოებისაგან, ცალკე კიდევ აწუხებდნენ მას ცოდვები, როგორც ველური მხეცები; — იგი ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდა, ერთი კაციდან მეორესთან მიდიოდა. მაგრამ ვერავინ შესძლო მისი აღელვებული დამშვიდება, ბოლოს ვიღამაც უჩიო მას: უდაბნოში წადი; იქ სცხოვრობს ერთი შესანიშნავი მეუღაბნოვე; თუ იმან ვერ მოგიგო პასუხი შენს იჭენეულობაზე, მაშინ აღარავის მიმართო მთელს ქვეყანაზე, ვეღარავინ მოგიგებს პასუხსაო. იგი მართლაც წავიდა უდაბნოში მშვიდობის საძებნელად.

ბევრი სიარულის შემდეგ უნაყოფო და უხალხო უდაბნოში, ბოლოს ტანჯულმა იპოვა თვითონ ის მეუღაბნოვე, რომელთანაც იგი გაგზავნეს.

— რათ მოსულხარ შენ ჩემთან? — ჰკითხა მას მოხუცმა.

დამამშვიდე, ამიხსენი მე კითხვა, რომელიც მთლად ჩემ სიცოცხლეს მიშხამავს, მე არა მწამს ღმერთი, — უთხრა მას მოსულმა.

— რატომ? — უბრალოდ ჰკითხა მოხუცმა.

— როგორ რატომ? მიუგო მოსულმა. ღმერთი რომ ყოფილიყო, ის დაინახავდა, თუ როგორ ვიტანჯებოდი მე; ხელებს ვაპყრობდი ზეცისაკენ; როგორ ვლოცულობდი ცრემლით მთელი დღე და ღამეები, როგორ ვადიდებდი მას სხვა და სხვა სახელებით, როგორ მოთმინებით ვიტანდი იმისი გულისთვის ცხოვრების ყველა უბედურებას, როგორ დავხეტიალობდი უდაბნოში, მინამ შენ შეგხვდებოდი. ღმერთი რომ ყოფილიყო, ის მიპასუხებდა მე...

შენ მოსულხარ დამიმტკიცო მე, რომ ღმერთი არ არის, და სულ სხვას კი ლაპარაკობ, — მიუგო მოხუცმა. აბა ჩაუფიქრდი შენს სიტყვებს: ვინ აღაპყრობდა შენ ხელებს მაღლა ზეცისაკენ, როდესაც შენ ლოცულობდი? — განა ღმერთი არა, რომელიც შენში სცხოვრობს, მაგრამ თითქოს დამარხულია შენის საკუთარის ხელებით, დაშობილია შენი ცოდვების მიერ? ვინ აღავსებდა შენს ბაგეს ნაზის სიტყვებით ღვთის სადიდებლად — განა ის არა, რომელსაც შენ ეძებდი ასეთი გულსმოდგინებით? ვინ გიზიდავდა ქალაქიდან ქალაქამდის, და ბოლოს ვინ მოგიყვანა ამ უდაბნოში? — განა იმან არა, რომელიც შენ დაივიწყე? ვინ აღავსებდა შენ სულს ტანჯვით, წვალებით, სარწმუნოების



მწვავე წყურვილით?—განა ის არა, შენ მიერ დატოვებული?!.. უფრო გასაგებად მე გეტყვი შენ ასე: თითონ ის იტანჯებოდა, ის სწუხდა, იმას გული ეღოდა, ის ტიროდა, ის ეწვალებოდა, ის ლოცულობდა შენი სულის საპყრობილეში; ის დაუყონებლივ მიგიზიდავდა თავისაკენ, ის გაღვიძებდა შენ იმ საშიში ცხოვრების ჯურღმულიდან, რომელშიაც შენ ჩაყარდი. შენ-კი მელაპარაკები, რომ ღმერთი არა გხედავს შენ და არ ესმის შენი გულის-პასუხი!..

მაშინ მიხვდა მოსული, და სთქვა:  
—ღმერთო მაპატიე მე; მეტად აღარ ვეჭვანულობ მე შენში. ამის შემდეგ მეწამები შენ მომეტებულად, მინამ ყოველივე ის, რაც გარს მახვევია. შენ ახლო ხარ ჩემთან მინამ ტანისამოსი, რომელიც მე მაცვია, ახლო ხარ ჩემთან ჰაერზე, რომელიც გარს მახვევია, ახლო ხარ ჩემთან თვით ჩემ სხეულზედაც-კი. შენ განუყოფელი ხარ ჩემი აზრებიდან, გრძნობებიდან. შენ ყველგან და ყოველთვის ჩემთან ხარ, სადაც უნდა წავიდე და სადაც უნდა დავდგე. შენ დაუყონებლივ მიგყავდი სინანულისაკენ. შენ ყოველთვის ჩემ სულში იყავი..

ძმანო-ქრისტიანო! როდესაც ქარიშხალი იჭვანულობისა, უანგარიშო მწუხარებისა დაიწყება ჩვენ სულში,—ესენი მახარობლები არიან იმისი, რომ ჩვენ დავივიწყეთ ღმერთი, თითქოს დავმარხეთ იგი ჩვენის ცხოვრების ამოების ქუჩეში. ჩვენი ცოდვების და ბიწიერების ქვეშ, ოდესღაც ჩვენი კეთილი სულიერი ცხოვრების ნანგრევებში. განა ის არა სწუხს, განა ის არა ტირის, განა ის არ იტანჯება ჩვენი სულის საპყრობილეში? განა იმას არ მივეყვართ ახალი წმიდა ცხოვრების გზისკენ? განა ის არ მოგვაგონებს, რომ დროა ჩვენ გონს მოვიდეთ, დროა დავბრუნდეთ სახლში—უფლის საძოვარზე.

**ის....**

ვიღაცა სწერდა ამას წინად: ჩვენ მოვკალით ღმერთი, ჩვენ დავმარხეთ ღმერთი.. რა უგუნური, მაგრამ მასთან სამართლიანი სიტყვებია! მართლაცა და, ბევრმა ჩვენგანმა, თანამედროვე ქრისტიანებმა, მოკლეს ღმერთი თავის საკუთარ სულში, დამარხეს იგი თავის ცოდვების სიბნელის ჯურღმულში თავის საკუთარი ხელებით... „მოვკალით“ და თვითონვე ლაპარაკობენ ამაზე. განა ის არ ლაპარაკობს აქაც იმათი პირით თავის უარყოფაზე, და იმითი აგებინებს, რომ ის ჯერ კიდევ იმათთანაა?

აი ჩვენთანაც ახლოა იგი ეხლა. ჩვენ ვდგე-

ვართ ახალი ცხოვრების კარებთან. კიდევ ცოტა ხანი, და ჩვენზე გადაივლის მადლიანი წვიმა, განგვაახლებს, გაგვრეცხს, გაგვწმენდს, გაგვაკეთილსუნელოვანებს, გაგვამშვენებს... მაშინ მხნელ და გაბედულად შევიდეთ ამ წმინდა კარებში ქრისტე მაცხოვართან. შევიდეთ ჩვენი სულის ტაძარში ანთებული სანთლით, გავანათლოთ ზეციური სინათლით ყოველი ჩვენი აზრი, ყოველი ჩვენი გრძნობა. გავარჩიოთ გროვა ნაგავისა, მოგროვებული ჩვენ სულში. გავწმინდოთ მთლად ტაძარი ჩვენი სულისა. გამოვიტანოთ იქიდან გარეთ ტრაპეზები სხვა და სხვა კერპებისა, რომლებშიაც არ არის აღგილი ღვთისა ცხოველისა. დაე იქნე იქნება სხვა ტრაპეზი, გარდა ტრაპეზისა პატივ-საცემლად ზეციერის ჩვენის მამისა. ჩვენი სული გავხადოთ სადგომად, სადაც დასახლდეს ჩვენი ზეციერი, სასურველი და ძვირფასი სტუმარი—ქრისტე მაცხოვარი. რა სიამოვნებას და მშვიდობას ვიგრძნობთ მაშინ ჩვენ სულში. მოიგონეთ რა ნაირი გრძნობებით არა ქვეყნიურის სიხარულისა, მტკიცე შერიგებისა ყველასთან, გამოუთქმელის—სიამოვნების სიმშვიდისა თქვენ იყავით წმინდა ბარძიბთან ქრისტეს სისხლისა და ხორცის. რანაირი მადლიანი ნათელით იყო გაბრწყინებული და გავსებული მაშინ თქვენი პირისახე. რანაირი ნათელი ცეცხლით იყო აღზნებული თქვენი სული. რა წმიდა და ამაღლებული იყო თქვენი აზრები და გრძნობები. რა კარგი იყო თქვენი საქმეები თქვენ მაშინ წარმოადგენდით ანგელოზებს. და არა ადამიანებს. ეს თითონ ის გამოკრთებოდა მაშინ თქვენ სულში, თქვენ საქმეებში...

მაშ მალე წავიდეთ მადლიანი წვიმის ქვეშ, ჩქარა წავიდეთ ქრისტესთან და უთხრათ მას:

აი ეხლა ჩვენ ყოველივე დავტოვეთ და წამოვედით შენთან. გვასწავლე, როგორ უნდა ვიცხოვროთ შენის მცნების თანახმად. შეგვეწიე ჩვენ ჩამოვადლოთ ტვირთი შენის დაუძინებელი მტერისა. ალაფსე ჩვენი სული ზეციური სიმშვიდით. უფალო, მოვედ ჩვენდა. მოვედ მალე... აიღე ჩვენგან ტვირთი ჩვენის ცოდვებისა. შენ ხედავ, თუ ჩვენ როგორ დაღლილები და დატანჯულები ვართ. ჩვენ შეტი აღარ შეგვიძლიან უშენოთ გაძლება. შენ ხარ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სიხარული, ჩვენი მშვიდობა და მოსვენება. გვასხურე; გააცოცხლე გააკეთილ-სუნელოვანე ჩვენი მწუხარე, შეშინებული გული. ანთე ჩვენში შენი ზეციური სინათლე.

მოვედ უფალო, ჩვენი გული მზათაა მიგიღოს შენ...

მწ. ისანე ლოყვიანი



### წიგნი გამოცვლათა.

ღვთის გამოცხადებას ცეცხლისგან შეუწვევლს მაყვლოვანში, უეჭველია ჰქონდა სიმბოლური მნიშვნელობა. მაყვლის ბუჩქი, რომელიც ხვა ხეებთან შედარებით, დიდს არაფერს წარმოადგენს, იყო სახე ებრაელთა, მათი შეურაცხყოფილის მდგომარეობას ეგვიპტეში; ცეცხლის ალი, რომელიც გარს ერტყა მაყვალს იყო ნიშანი ღვთის რისხვისა ებრაელებზე. ამ გვარად, მაყვლის გზნება ნიშნავდა ურიების მდგომარეობას, და ყოფას ეგვიპტეში, დევნულების და გაჭირვების ცეცხლში; ღვთის გამოცხადება ნიშნავდა, რომ თვითონ ღმერთმა მისცა ებრაელნი სატანჯველში. მაგრამ მაყვლის ბუჩქი არ იწვოდა ცეცხლისგან; ეს იმას ნიშნავდა, რომ ღმერთი არ გასწირავდა თავის პირმოვებს, არ მოსპობდა მას ეგვიპტის მონობაში.

გარდა ამისა, ღვთის ძის გამოცხადება ცეცხლის ალში მაყვლოვანიდან, ეკკლესიის განმარტებით, მოასწავებდა უთესლოდ მიდგომას და შობას ღვთის ძისას მარადის ქალწულის მარიამისგან. როგორც მაყვალი ცეცხლისგან შეუწველი დარჩა, თუმცა კი ყოველი მხრიდან ეკიდა მას, ისრე ქალწული დარჩა ქალწულად თუმცა კი შვა ძე; — ქალწული ეგო ქალწულად, უვნებელად შემდგომად შობისა“, გალობს წმიდა ეკლესიას.

მოსე განცვიფრებული მიუახლოვდა მაყვლის ბუჩქს, რომ უფრო დაწვლილებით გაეშინჯა იგი, მაგრამ უფალმა უბრძანა ფეხთ გაეხადნა და ისე მიახლოებოდა ამ წმიდა ადგილს. შემდეგ ღმერთმა უბრძანა: **მე ვარ ღმერთი აბრაამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი!!**. მოსე შეძრწუნდა. უფალმა კვალად უბრძანა, რომ მას არ დავიწყებია თვისი რჩეული ერი—ისრაილი, იგი ხედავს მის გაჭირვებულს მდგომარეობას და ნებავს მისი განთავისუფლება; მას ნებავს შეიყვანოს ისრაილი ქანაანის ქვეყანაში, რომელშიც სდის რძე და თაფლი და უბრძანა მოსეს წასულიყო ეგვიპტეში, შეეკრიბნა მოხუცებული ურიები და გამოეცხადებინა მათთვის ნება უფლისა ებრაელთა განთავისუფლების შესახებ; მოსეს უნდა გამოეცხადებინა, რომ იგი მიგზავნა ღმერთმან აბრაამისამან, ისაკისამან და იაკობისამან. მოხუცებულთა დასარწმუნებლად,

ნებლად, რომ მოსე ჰეშმარიტის ღვთისაგან არის მოვლინებული, ღმერთმა გამოუცხადა მას თავისი საკვირველი სახელი, რომელიც არის: **მე ვარ, რამელი ვარ** (მ. 14, ებრაულად **ეგავ აშერ ეგავ**, ანუ **ეგავა**. სახელით **მე ვარ, რამელი ვარ** გამოიხატება უცვალელობა თვით არსი ღვთისა. ებრაელთათვის სახელი **ეგავა** ნიშნავდა უცვალელობას იმ ალტემათა, რომელნიც უფალმა მისცა მათ წინაპრებს, და რომელიც ეხლა სრულდება.\*) მოსეს ფარაოსთვისაც უნდა გამოეცხადებინა, რომ ურიანი მიდიან უდაბნოში სამი დღის სავალზე სალოცავად და მსხვერპლის შესაწირავად. ღმერთმა ისიც აუწყა მოსეს, რომ მეფე ერთბაშად არ გამოუშვებდა ურიებს, რომ ამისთვის საჭირო იყო **მტკიცე ხელი**. ეგვიპტიდან წამოსვლის დროს, ურიათა ქალებს უნდა ეთხოვნათ ეგვიპტელთათვის, როგორც ჯილდო შრომისა და სამსახურისა, ოქრო ვერცხლის ნივთები, ასე რომ ცარიელები არ უნდა წამოსულიყვნენ (თ. 3).

მოსეს ეჭვი ჰქონდა, რომ ებრაელები მას არ გრწმუნებოდნენ; ღმერთმა უბრძანა მას გადაეგდო კვერთხი, რომელიც მაშინვე გველად გადაიქცა, მოსეს შეეშინდა გველისა და უკან გადახტა; ღვთის ბრძანებით მან კულზე მოავლო ხელი გველსა და გველი ისევ კვერთხად გადაიქცა. შემდეგ მოსემ, ღვთისავე ბრძანებით, შეიღო ხელი უბეში (წიაღში) და რომ გამოიღო ნახა, რომ ხელი თოვლივით გათეთრებოდა; კვალად შეიყო ხელი უბეში, გამოიღო და ნახა, რომ მორჩენოდა. თუ ამ სასწაულებით არ დარწმუნდებოდნენ ებრაელნი, რომ მოსე ღვთისაგან არის მოვლინებული მათ გამოსახსნელად, მაშინ მას მდინარიდან წყალი უნდა ამოეღო და მიწაზე დაესხა, — წყალი სისხლად გადაიქცეოდა.

მოსე იყო **ენა მძიმე და ხმა წვლილი** და ამიტომ სთხოვა ღმერთს სხვა ვინმე გაეგზავნა ებრაელთა გამოსახსნელად. ღმერთმა უბრძანა მოსეს, რომ მისი გაჩენილია უტყვიც და ყრუც, ის აძლევს კაცს პირს და რომ იგივე შეეწვევა მოსესაც; მოსემ კვალად უარი თქვა. მაშინ ღმერთმა უბრძანა მოსეს, რომ მის მაგივრად ხალხს ელაპარაკებოდა არონი, ძმა მისი, რომლისთვისაც მოსეს უნდა გარდაეცა ღვთის ბრძანება. მოსე და არონი

\*) ქართულს დაბადებაში სახელი ღვთისა „ეგავა“ გადმოთარგმნილია სახელით „უფალი“, სხვა სახელი ღვთისა „ელაჰი“ სიტყვით „ღმერთი“.



მოვიდნენ გესემის ქვეყანაში, შეკრიბეს მოხუცებულნი ებრაელნი, გამოუცხადეს მათ ღვთის ბრძანება, ქმნეს სასწაულები; ებრაელნი ერწმუნნენ მოსეს და არონს და **მოადრკა ერა და თავყანი სცეს უფაღსა** (თ. 4).

მოსე და არონი მოვიდნენ ფარაოსთან და სთხოვეს მას გაეშვა ებრაელნი სამი დღის სავალზე სალოცავად და მსხვერპლის შესაწირავად; მაგრამ ფარაომ მათ ყურიც არ ათხოვა; მათი სურვილი მან ჩათვალა უსაქმურობის და უქმობის შედეგად. მან უბრძანა მუშაობის მეთვალყურეთ, რომ ამას იქით აღარ ეძლიათ ებრაელთათვის ბზე ალიზის საკეთებლად; ბზეც თვით ებრაელებს უნდა ეშოვათ და ალიზიც იმდენი გაეკთებიანთ, რავდენსაც უწინ აკეთებდნენ, როცა ბზე მეფისგან ეძლეოდათ. ამ ბრძანებამ უმეტესად შეაწუხა ძენი ისრაილისნი და მწარედ უსაყვედურეს მოსეს (თ. 5). ღმერთმა კვალად განუმეორა მოსეს, რომ იგი გაანთავისუფლებს ებრაელებს მონობისაგან (თ. 6).

ღვთის ბრძანებით, მოსე და არონი შევიდნენ ფარაოსთან და ქმნეს სასწაულები. არონის კვერთხი გველად გარდაიქცა. მეფემ მოუწოდა თავისი საბრძანებლის ყველა გრძნეულებს და მოგვებს და მათ თავისი კვერთხებიც გველებად გადააქციეს, მაგრამ არონის კვერთხმა გადაყლაპა მათი კვერთხები.

ზოგიერთ სწავლულთა აზრით, მოგვების კვერთხთა გველებად გადაქცევა და აგრეთვე სხვა სასწაულები მოგვეთაგან მოხდენილნი, იყო მოჩვენება და მოტყუება; მაგრამ მოსე და არონი უთუოდ ამხელდნენ მოგვებს, რომ მათი სასწაულები მოჩვენება და მოტყუება ყოფილიყო; რადგანაც მოსემ და არონმა არ ამხილეს მათ, უნდა ვიფიქროთ, რომ მოგვებმა ნამდვილად სასწაულები მოახდინეს; მაგრამ ეს სასწაულები არ ჩაითვლებიან **ჭეშმარიტ სასწაულებად**, რადგანაც მხოლოდ ჭეშმარიტ ღმერთს შეუძლიან მოახდინოს ჭეშმარიტი სასწაული; ამიტომ იყო რომ არონის კვერთხმა **შთანთქა** მოგვების კვერთხები; გარდა ამისა, მოგვებს არ შეეძლოთ ერთხელ გამოწვეული მოვლენის მოსპობა, მოსესთვის კი საკმარისი იყო მხოლოდ ერთი სიტყვა რაიმე მოვლენის გამოსაწვევად და მოსასპობადაც. ბოლოს ხომ თვით მოგვებიც გამოტყდნენ თავის უძლურებაში და აღიარეს რომ მოსეს სასწაულნი ხდებიან ღვთის ძალით

(8, 20). ფარაომ მაინც არ ინება ებრაელების გამგება ეგვიპტიდან (თ. 7, 1—14); ამის შემდეგ დაიწყო სასწაულებრივი სასჯელი ეგვიპტისა.

მდინარე ნილოსი ეგვიპტელებს მიაჩნდათ ღმერთად და ამიტომ მოდიდების დროს, იენისის ნახევარში, დიდი ამბით თავყანს სცემდნენ მას; ფარაოც, ჩვეულებისამებრ გამობრძანდა მდინარეზე; იქ მას შეხვდნენ მოსე და არონი; მოსემ დაარტყა წყალს კვერთხი და წყალი მდინარეში, ტბებში და წყაროებში გადაიქცა სისხლად; ამის გამო თევზები დაიხოცნენ მდინარეში, წყალი აყროლდა და მისი სმა აღარ შეიძლებოდა; ეს სასჯელი გაგრძელდა შვიდს დღეს (თ. 7, 15—26).

ზოგიერთ სწავლულებს სურთ ეს სასწაული ჩათვალონ უბრალო ჩვეულებრივ მოვლენად. ნილოსში წყალი მომატების (იენისში) და დაკლების (ოქტომბერში) დროს იდებება ხოლმე წითელ-ფერად, რადგანაც მდინარის კალაპოტი წითელი ფერის მიწით არის დაფარული, აღმოსავლეთის ქარს მოაქვს უდაბნოდან მოწითალო სილა; გარდა ამისა წყალდიდობის დროს ნილოსში ჩნდება ბევრი ინფუზორია (პატარა, თვლით უჩინარი ცხოველები). მოწითალო ფერისა და აი ესა სცვლის წყლის ჩვეულებრივს ფერს წითლად. მაგრამ საქმე იმაშია, რომ წყლის ფერის შეცვლის დროს მაშინ თევზი არ იხოცება, წყალიც დაილევს. რადგანაც არა ყარს, ეხლა კი თევზი დაიხოცა წყალში და წყალიც აყროლდა; გარდა ამისა, წყალმა ფერი შეიცვალა მოსეს ერთი ბრძანებით. უცნაური იქნებოდა, რომ მოსე იმ გვარი მოვლენით დამუქრებოდა ფარაოს, რომელიც ჩვეულებრივი იყო ეგვიპტეში და არავის არ შეაშინებდა.

რადგანაც ამ სასჯელის შემდეგ არ გაუშვა ფარაომ ებრაელნი, მაშინ მოსემ ღვთის ბრძანებით მოახდინა მეორე სასწაული; მთელს ეგვიპტეში გაჩნდა **ძეგადა**, ანუ ბაყაყები. ბაყაყების გაჩენა ეგვიპტეში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ სასწაულებრივი აქ ის იყო, რომ ბაყაყები ისე ბევრი გაჩნდა, რომ შეცვივდნენ სახლებში, ლოგინში, საბურე ბედლებში, თორნებში, ეზოებში, ე. ი. სულ ყველგან; რასაკვირველია, ეს სასიამოვნო არ იქნებოდა სიფაქიზის მოყვარე ეგვიპტელთათვის.— ცოტათი მოტყდა ფარაონი და სთხოვა მოსეს და არონს ელოცნათ უფლისა მიმართ; რომ ასცილ-



ბოდა მას ეს სასჯელი, ბაყაყთა შემოსევა; ალბათ მისმა მოგვებმა ვერ შესძლეს მათი მოსპობა! მოსემ უთხრა ფარაონს, რომ თვითონ მას დაენიშნა დრო, როცა სურდა ბაყაყების მოსპობა და ისიც ილოცავდა; ამით მას უნდოდა ეჩვენებინა ფარაონთვის, რომ მარტო ღვთის ნებაზეა დამოკიდებული დასჯაც და შეწყალებაც; ფარაომაც დაუნიშნა დრო და მეორე ღღეს მოსეს ლოცვით მოისპნენ ბაყაყნი მიწიდან (თ. 7).

ამის შემდეგ ეგვიპტის მცხოვრებთ დაესიათ მუქი (კოლოს მსგავსი მწერი); მოგვებმა ვერ გააჩინეს მუმიო, სცნეს თავისი უძლურება და მოახსენეს ფარაოს, რომ მოსე და არონი მოქმედებდნენ ღვთის ძალით. (8, 20); შემდეგ ღმერთმა მოავლინა ხალხზე და პირუტყვებზე ძაღლის მწერი, რომელიც ძალიან ავნებდა მათ; ფარაო თითქოს დათანხმდა მოსეს და არონის თხოვნას და ნება მისცა ებრაელებს შეეწირათ მსხვერპლი ღვთისათვის ეგვიპტეში; მაგრამ მოსემ უხერხულად სცნო ეს და მოახსენა ფარაოს, რომ ეგვიპტელნი ჩააქვავებდნენ ებრაელებს, როცა დაინახავენ მათს ღვთის მსახურებას და მსხვერპლის შეწირვას; ფარაო დაპირდა ებრაელების გაშვებას მახლობელს უდაბნოში, ოღონდ კი მოსეს ელოცა და მოეშორებინა მისთვის ძაღლის მწერი; მოსემაც ილოცა და მოისპო ძაღლის მწერი, მაგრამ ფარაონმა დაამძიმა გული თვისი ამასცა ჟმსა და ანა ინება გამოგდინება ერასა მას (თ. 8).

ეგვიპტელთა შინაურს ცხოველებს დაერია ჭირი და ბევრი მათგანი მოსრა. გესემის ქვეყანა, სადაც სცხოვრებდნენ ებრაელნი დაცული იყო ღვთის მიერ ყველა სასჯელისგან და იქ არაფერი ზარალი არ მოსვლიათ ებრაელებს; თვით ხალხს ეგვიპტეში დამართათ საშინელი ანთება, სეტყვამ გაანადგურა მათი ნათესები მიწაში; ფარაომ კვალად სთხოვა მოსეს და მისი ლოცვით დაცხრა ანთებაც და სეტყვაც. მაგრამ განფიცდა გული ფარაოსა და ანა განუტყვა ერა აგი, მენი ასწაფისნი (თ. 9).

კვალად დასაჯა ღმერთმა ეგვიპტელნი; კალიამ სულ მოსპო მიწის მოსავალი, რომელიც გაუფუჭებელი დარჩა სეტყვას; შეწუხდნენ ამდენი სასჯელით ფარაოს მსახურნი და ურჩიეს მას გაეთავისუფლებინა ურიები; ფარაომაც მისცა სალოცავად წა-

სლის ნება, მაგრამ მარტო მამაკაცებს; მოსე არ დათანხმა. შემდეგ ღვთის ბრძანებით ეგვიპტე დაფარა სამი დღის განმავლობაში ბნელმა; ფარაომ ეხლა კი ნება მისცა ებრაელთ წასვლისა სალოცავად, მაგრამ იმ პირობით კი, რომ საქონელი ეგვიპტეში დაეტოვებინათ; ამაზე მოსემ უარი უთხრა; ფარაო ფრიად განრისხდა, გაფიცდა და უბრძანა მოსეს აღარა ჩვენებოდა და მოკვლას დაემუქრა; მოსეც გამოვიდა ფარაოს სახლიდან. (თ. 10).

რადგანაც ამდენი სასჯელის შემდეგ არ შეისმინა და არ გაუშვა ებრაელნი, მოსემ გამოუცხადა მას უკანასკნელი სასჯელი: მოკვდებოდა პირმშო შვილი ყველა ეგვიპტელის ოჯახში ფარაოდამ დაწყებული უკანასკნელ მონამდე; ამ გვარივე სასჯელი მოიწეოდა პირმშო პირუტყვებზედაც; ამის გამოცხადების შემდეგ, მოსე გულის წყრომით გამოვიდა ფარაოსგან. (თ. 11).

ასეთი სასჯელი მიაყენა ღმერთმა ეგვიპტის ქვეყანას; ამ სასწაულებს და სასჯელს თავისი მნიშვნელობა ჰქონდათ. ეს სასწაულები წარმოადგენდნენ ბრძოლას ჭეშმარიტი რჯულისას, რომლის წარმომადგენელიც იყვნენ მოსე და არონი ცრუ და წარმართთა რჯულთან, რომლის წარმომადგენელიც იყო ფარაო თავის მოგვებით. ებრაელთათვის ამ სასწაულებმა ცხად ჰყვეს სიცრუე და დამღუპელობა წარმართობისა, რომელსაც ისინი ცოტ-ცოტათი შეეჩვივნენ ეგვიპტეში; ხოლო ფარაოს და ეგვიპტელებს ამავე სასწაულებმა დაუმტკიცეს ძლიერება იგი გოვასი, ჭეშმარიტის ღვთისა. ამ სასწაულთა მოთხრობაში რაოდენჯერმე აღნიშულია ფარაოს გულის გაფიცება და გაბოროტება, რომელიც მიეწერება ღვთის მოქმედებას; ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ღმერთი იყოს მიზეზი ფარაოს გულის გაფიცებისა და გაბოროტებისა; ეს იმას ნიშნავს, რომ ღვთის მოქმედება, რომელიც მიმართული იყო ფარაოს გულის მოსაღობად, თან და თან ცხად-ყოფდნენ მისს შინაგანს სისასტიკეს და ამაყობას.





ქართული  
ბიბლიოთეკა

და ოდეს დაბანა ფერხნი მათნი, მოიღო სამოსელი თვისი და მერმე რქვა მათ: უწყითა, რა ესე გიყავ თქვენ? თქვენ მხადით მე: მოძღვარო და უფალო. და კეთილათ ჰსთქუთ, რამეთუ ვარ.

უკეთუ მე დაგბანენ ფერხნი, უფალმან და მოძღვარმან, და თქვენცა თანა—გაძს ურთიერთარს დაბანად ფერხთა. ვითარცა ესე მე გიყავ თქვენ, ვგრეთვე თქვენცა ყოფდეთ.

ამინ, ამინ გეტყვ თქუცნ: არა არს მონა უფროს უფლისა თვისისა, არცა მოციქული უფროს მომავლინებელისა თვისისა. ესე თუ ჰსცნათ, ნეტარ ხართ, უკეთუ ჰყოფდეთ ამას. (იონ. თავი 13. მუხ. 12—15).

აღასრულეს თუ არა მოციქულებმა ეს ბრძანება იესო ქრისტესი?

ქეშმარიტად აღასრულეს და თავისი სიცოცხლეც ხალხს შესწირეს.

აღასრულებენ თუ არა დღეს ამ ქრისტეს მცნებას მოციქულების წარმომადგენელნი?

აღასრულებენ მხოლოდ ეკლესიაში, ვნების კვირიაკეში დიდ ხუთშაბათს, ხალხის საჩვენებლად.



წელიწადი  
მ ე ხ უ თ ე  
1908.

# სანაშრომრიუმი

და

## საზაფხულო სამუშაო

ქეიმის ვახტანგ დ. ლაშაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის 9—15 წლამდე

„პატარა—ცემში“, ბაკურიანის რკინის გზაზე.

საზაფხულო  
მთის სადგური  
4400 ფუტის  
სიმაღლეზედ.

„პატარა-ცემში“ მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, თრიალეთის ქედის ერთ-ერთ კალთაზედ, ბაკურიანის რკინის გზაზედ, სადგურ ნიკოლაევისა და საკოჭავს შუა, მალმობ ვაკეზედ, 4400 ფუტის ანუ 1340 მეტრის სიმაღლეზედ. 230 ფუტით მაღალია აბასთუმანზე).

**მიიღებინან:** ვინც არის ნაავადმყოფარი, სხვა და სხვა სნეულებისაგან დაღლილ-დასუსტებული, მეტადრე ვისაც გამოვლილი აქვს განმეორებით: ინფლუენცა, ბრონხიტი, ფილტვის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა; ვინც მადა-დაკარგულია, სისხლ-ნაკლები, ნერვებ-აშლილი, ქაობის ციებით ანუ ტყირპის ვადიდებით დასუსტებული; ვისაც სხეული დასძაბუნებია ჰაერის, სინათლისა და საზრდოს ნაკლებობით, ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით; სტომაქისა და ნაწლევების აშლილობით დასნეულებული, გონებით მოქანცულნი და საერთოდ ყველანი, ვისაც-კი სამკურნალო მეცნიერების რჩევით ესაჭიროება: ჰაერის გამოცვლა, დასვენება, სხეულის გამაგრება და ქალაქის მორიდება ცხელ ზაფხულის თვეებში.

**არ მიიღებინან:** მწოლიარე ავადმყოფნი, რომელიმე გადამდებ სენით შეპყრობილნი, ფილტვის სიკვდილით დაავადმყოფებულნი, სულით ავადმყოფნი და არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ მთა-ადგილს ყოფნა სარგებლობას ვერ მოუტანს.

### სამკურნალო საშუალებად არის დასახული:

- 1) მთის წმინდა ჰაერი, მხატე, გრილი, ფიჭვის სუნიტ შეზავებული და ფოფელ-გვარ უსუფესობას მოშორებული;
- 2) გონებისა და სხეულის დასვენება, სრული მყოფდრება, შუა-გულ ტუეში ყოფნა, უსიამოვნო ხმაურების მოშორებით;
- 3) უსვი საზრდობა დღეში ხუთჯელ: საუზმე დიდის 8 ს., მეორე 10 ს., სადილი 1 ს., სუმხარი 4 ს., ვახშამი 7 ს.,
- 4) წელით ექიმობა;
- 5) სხვა და სხვა გვარი შექცევა-თამაშობა;
- 6) სამკურნალო ვანჯიშობა;
- 7) სახალისო და გასართობი სამუშაო და სხვა და სხვა ხელ-საქმე, სხადგილო და სხეულისათვის მარგებელი თვითიულის აკებულებასთან შეჩეული;
- 8) ჯგუფებად სეირნობა და მოგზაურობა ახლო მიდამოებში, და სხ.

ფოფელი ზემოსნეებული სსშუალება შემოდებულია მეცნიერებისაგან დამტკიცებულ წესისამებრ და კერძოდ თვითიულის აკებულებასთან არის შეფარებული, ექიმის მუდმივ ხელმძღვანელობით.


დაწვრილებით ცნობების შესატობად მსურველთ უნდა მიმართონ ექიმს ვახტანგ დავითის ძეს ღამაშიძეს, მასის 31-მდე ქალაქ თბილისს, შემდეგ-კი ბორჯობით, ზატარა-ცემის სანატორიუმში.

**მისასვლელი გზა:** ბორჯობიდან რკინის სავალხედ, ბაკურიანის კინის რგზით, მე-25 ვერსზე სადგურ ნიკოლაევის შემდეგ საკუთარი ბაქანია: „ღამაშიძის ბაქანია“, (Платформа) სადაც ფოფელი სხალისო მატარებელი ჩერდება საკუთრად სანატორიუმისათვის.

**მატარებლების მიმოსვლა** ბორჯობიდან ბაკურიანამდე და უკან—დღეში ორჯელ.



# განსახილველი.



მიიღება ხელის-მოწერა 1908 წლისათვის ორ-კვირულ შუბნალს

XXV წ. „მწევეს“-ზე XXV წ.

ქუჩნალის ფასი:

12 თვით 3 მან.—6 თვით 2 მან.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ევრილაში რედაქციაში, თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოასაწერი ფულის შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. ზე პირველ ივლისს 1 მ. სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაე-თმობათ მთელის წლით **6 მანკთა** დ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

რედაქცია იმყოფება დ. ევრილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: **Въ Квирилы, въ редакцію журнала „МЦЕМСИ“.**

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც უდიდ ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე მრავალ-გვარი საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემანი. რედაქტორ-გამომცემელი **დეკნოზა დ. ღამბაშიძე.**

- 8) Что такое чума? Очеркъ В-на.
- 9) Падучая болѣзнь. Профессора Говерса.
- 10) Этика половых отношеній. Г. Спенсера.
- 11) Половые отправленія челоѣка. Столгема.
- 12) Любовь. А. Шоненгауэра.
- 13) Эристика или искусство спорить. Его-же.
- 14) Гигіена цѣломудрія. Д-ра Корнига.
- 15) Алкоголизмъ. Профес. Бунге.
- 16) Астма. Профессора Бриссо.
- 17) Какъ не толстѣть и какъ избавиться отъ дородства дѣтот. Д-ра Зальцштейна.
- 18) Козь, краснуха и вѣтряная оспа.
- 19) Морфинизмъ. Профессора Бургордта.
- 20) Календарь беременнности. Д-ра Дедюлина.
- 21) Малая хирургія. Проф. Вольцендорфа.
- 22) Болѣзни желудка. Проф. Боаса.
- 23) Философія и гигиена ѣды. Проф. Билоуса.
- 24) Исторія. Профессора Говерса.
- 25) Дѣтскія болѣзни. Профес. Багинскаго.
- 26) Лечение кумысомъ и кефиромъ. Д-ра Бубиса.
- 27) Насморкъ и его лечение. Проф. Брезгена.
- 28) Лечение водой. Профессора Глакса.
- 29) Причины женскихъ болѣзней. Проф. Говица.
- 30) Геморрой. Признаки, причины, лечение.
- 31) Гигіена волосъ. Книга для всѣхъ.
- 32) Спинная сухотна. Проф. Читидинга.
- 33) Болѣзни сердца. Профессора Ланге.
- 34) Болѣзни почекъ. Проф. Сенатора.
- 35) Экзема и почесуха. Проф. Вольфа.
- 36) Гигіена одежды. Д-ра Орлова.
- 37) Брюшной тифъ. Профес. Цамсена.
- 38) Физиологія челоѣка. Проф. Фредерива.
- 39) Южный берегъ Крима. Д-ра Орлова.
- 40) Среднероссійскіе курорты,—Стараа Русса, Славянскъ, Друскеники, Липецкъ и др.
- 41) Діета при разстройст. желудка. Пр. Вольфа
- 42) Тучность. Профессора Пруста.
- 43) Гигіеническіе консервы и кондитерскія издѣля. Д-ра Орлова.
- 44) Лечение воздухомъ, лечение солнцемъ Пр. Каша.
- 45) Желтуха. Проф. Лихтенштейна.
- 46) Гимнастика какъ методъ лечения. Д-ра Эфрузи.
- 47) Болѣзни зубовъ и полости рта. Проп. Шефа.
- 48) Скарлатина. Профессора Фирордта.
- 49) Болѣзни горла. Профес. Розенберга.
- 50) Свѣтолечение. Профессора Нильса.

**Всѣ 50 книгъ вышли и высылаются подписчикамъ. Цѣна за всѣ 50 книгъ съ пересылкой 5 руб. Въ отдѣльной продажѣ книги стоятъ свыше 20 р. Требования адресовать: контора „НАРОДНАГО ЗДРАВІЯ“, С.-Петербургъ, Троицкая ул; 11. 0—5**

50 КНИГЪ 4000 СТР. 1000 РИС.	<b>НАРОДНОЕ ЗДРАВІЕ</b> Серія популярно-научныхъ и медицинскихъ книгъ.	Цѣна за 50 книгъ 5 руб. съ достав. и перес.
------------------------------------	---	---

- 1) Половая жизнь женщины. Д-ра Кларуса.
- 2) Исторія естественной любви. М. Нордау.
- 3) Психологія поцѣлуя. Ломброзо.
- 4) Психологія женщины. Патрика.
- 5) О рожденіи дѣтей желаемого пола. Шенка.
- 6) Гигіена менструацій. Профес. Форста.
- 7) Болѣзни легкихъ. Профес. Эйгорсона.



# ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ

## დჶკანოზი დავით დამბაშიძისაგან უდღვანილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, უვირილაში—  
«მწყემსის»-ს რედაქციაში.

### 1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უკთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლია და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანს სრულს თვეთა მეტყველებანი არიან ჩრთულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 25 კ. და უყდოთ . . . 20 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ცრცელი პანაშვიდისა, ფასი . . . 10 კ.
3. სოცხლთა და გარდაცვლებულთა მოსხენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . . 20 —
4. ძონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 30 კ. კარგი ყლით . . . 50 >
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 >
6. საქართველოს ეკლესიის წმიდანები რუს. 5 „

### 2. სასაწვლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის წიგნებზე, 30 კ.
2. დაწყებითი გავერილები საღმრთო სჯულის სწავლებასზე. ფსი . . . 15—
3. ახალ სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 30 კ
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყლით . . . 20 კ

### 3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვასზე.

1. ახალ კარბადნი, მორე გამოცემა დამატებით, რომელიც კნხილული, მოწო

ნებული და ნება-დართულია კავკასიის საეკლემო რჩევასაგან ყლით ფასი 1 კ. უყდოთ . . . 60 კ.

2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის საუბარი . . . 5 კ.
4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი . . . 15 კ.
2. ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. იგივე რუსულ ენაზე . . . 20 „
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მაშისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. მთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . . . 5 კ იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
5. პარძიის მონასტერი, ფასი . . . 5 კ.
6. მარტილის მონასტერი . . . 2 კ.


### 5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . . . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . . 2—
3. ამალღება პატიოსნისა და ცხველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით . . . 2—
4. შობა უფლისა . . . 2 კ.
5. მიჩამა უფლისა, სურათით.—ფასი . . . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . . 2—
9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ხელთუქნელი ხატის ისტორია . . . 3 კ.

### 6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჟდენი, სურათით, ფასი . . . 3 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . . . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . . . 5—





- 5. გიორგი მთაწმიდელი . . . . . 10—
- 6. იოანე ზედაზნელი . . . . . 5—
- 7. შუშანიკი . . . . . 2—
- 8. ქეყევიან დედოფალი . . . . . 2—
- 9. არჩილ და ლუარსაბი . . . . . 5—
- 10. წმიდა ნინო რუსულაძე . . . . . 8—

**7. რელიგიური და სწავლებითი შინაარსის წიგნები და საუბრები:**

- 1. წმიდანი მღვდელ-მთავარანი: ბასილი დიდი, გრიგორი ღმრთის-მეტყველი და იოანე ოქროპირი, სურათებით — ფასი 5—
- 2. როგორ უნდა ვმარხულოდეთ — ფასი . 2—
- 4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი . . . . . 5—
- 5. სიკვდილი მართლისა, კონსტანტინე-ტაძარის მღვდლის წერილი . . . . . 5—
- 6 ხმა მადლურისა ს. მწყისოსაძემ. საუბრობა სწავლა იესო ქრისტესი . . . . . 3—
- 7 შვილების მოვალეობა მშობელთადმი . . . . . 3—
- 8 მშობლების მოვალეობა შვილთადმი . . . . . 3—
- 9 ენ არიან ზენი ცხოვრების მტკანი და როგორ უნდა ვსძლიოთ მათ . . . . . 3—
- 10 იუნჯებლით საუნჯესა კათაშინა . . . . . 3—
- 11 საუბარი ღმრთის სიტყვაზე . . . . . 3—
- 12 — შრომაზე . . . . . 3—
- 13. სამგვარი სიკვდილი . . . . . 5—

**8. მოთხრობანი დაბადებიდან.**

- 1. მუჟე სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 2. მსთერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
- 3. სიბრძნე ი. ო. ძისა ზირაქისა, სურათით. . . . . 5—
- 4. იოსები . . . . . 5—
- 5. მრავალ წამებული იობი . . . . . 5 კ.

**11. მსატკრობანი სას. და საერო მოღვაწეთა.**

- 1. შოთა რუსთაველი. . . . . 25 კ.
- 2. აკაკი წერეთელი . . . . . 25 კ.
- 3. თამარ მეფე . . . . . 25 კ.

იმეკონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

**ხატები და მსატკრობანი**

იმეკონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არი-მაცხოვრის, ივერიის ღმრთის-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართლო-ში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდება ამასთან იმეკონება სქელ ქალღმრთელზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყიფის 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოში 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუჟნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმეკონება აგრეთვე მრავალი პატარა გულსაიკადი ხატები ფერკადუვალი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესა, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოში 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნიით დაეთმობ. სამ მან. ესეთი იმეკონებიან ვერცხლისა, ფასი 40 კა

**შ ი ნ ა ა რ ს ი.**

**სალითერატურო განყოფილება:** ქრისტე აღსდგა! ონოფრე მწირისა.—აღდგომა ქრისტესი.—მანარობელისა. სიტყვა, მღვ. კ. ცინცაძისა.—ბიბლიოგრაფია, მანარობელისა.—სახელმწიფო სათათბირო.—ანლო აღმოსავლეთი.—ანალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მცენიება ქრისტიანობის საკრფონობასა და კეთილ-გნობაზე:** მღვ. იოანე ლუკიანოვისა,—წიგნი გამოსელათა.—განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე, 30 აპრილი, 1908 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.